ექსკურსია დაახლობით სამ საათს გაგრძელდა, შემდგომ კი ჯგუფმა თელავის უნივერსიტეტში გადაინაცვლა, სადაც მოეწყო ხანმოკლე გაცნობითი ხასიათის პრეზენტაცია. სტუდენტები სამ ჯგუფად დაიყო. თითოეული ჯგუფი ინდივიდუალურად აყალიბებდა თავიანთ ხედვებს, შემდგომ კი ეკრანზე აჩვენებდა და მცირე პრეზენტაციით ასაბუთებდა ამა თუ იმ ხედვის მიზნობრიობას. „ვორქშოფის“ დასასრულს კი, ყველა ჯგუფს მზად ჰქონდა ქალაქს განვითარების კონცეპტუალური ხედვა.

***შეხვედრა დამსაქმებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან***

2018 წლის 24 თებერვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა შეხვედრა დამსაქმებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე მთავარ საკითხად განხილული იქნა ის გამოწვევბი, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით დგას არქიტექტურის სფეროში, როგორც სასწავლო ისე პრაქტიკაში მოღვაწეობის კუთხით.





შეხვედრას ესწრებოდნენ მოწვეული ექსპერტები (დამსაქმელები): გიორგი აბულაძე (სტუდია 21), გიორგი გოცირიძე (გეოგრაფიკი), ირაკლი შარაშიძე (დეფანსი), გიორგი სულაბერიძე (არტ–სტუდიო), ლადო აბრამიშვილი (დემარკი). ფაკულტეტის მხრიდან დეკანი ნინო იმნაძე, ხარისხის სამსახურის უფროსი ნინო ხაბეიშვილი, ურბნისტიკის მიმართულების წამყვანი პროფესორი გიორგი სალუქვაძე, სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“ ხელმძღვანელი პროფესორი ლევან ბერიძე, საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“ ხელმძღვანელი პროფესორი ნიგზარ ხვედელიანი, ინტერიერის და გარემოს დიზაინის დეპარტამენტის ხელმძღვანელო პროფესორი თინათინ ჩიგოგიძე, პროფესორი ირაკლი მურღულია, პროფესორი ნინო ჩხეიძე და პროფესორი ნინო გვანცაძე.

მწვავე დებატები გაიმართა რიგ საკითხებთან დაკავშირებით; კერძოდ რა გამოწვევბი დგას დღეს საპროექტო ბაზარზე? როგორი კადრები ესაჭიროება დარგს? როგორ მოვახდინოთ

ფაკულტეტზე სწავლების დონის ამაღლება?
საბოოლოოდ გადაწყდა დაიგეგმოს რიგი ღონისძიებები (კონფერენცია, სემინარი, სტუდენტური კონკურსი, ვორქშოფები, საჯარო ლექციები, ინტეგრირებული პროექტები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად, რეალურ პროექტებში ჩართვა და ადგილზე გასვლის ორგანიზება, კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება და ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვა), რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სტუდენტებში მოტივაციის ამაღლებას და წახალისებას.

*შეხვედრა დამსაქმებელ ორგანიზაციებთან*



2018 წლის 5 მარტს შედგა შეხვედრა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სსიპ აწარმოე საქართველოში წარმომადგენელთან, ექსპორტის ხელშეწყობის დეპარტამენტის პორთფელის მენეჯერთან ეკატერინე სარალიძესთან. შეხვედრის მიზანი იყო არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო მეთოდიკის, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების გაცნობა. ქალბატონმა ეკატერინემ აღნიშნა, რომ მზად არის ითანამშრომლოს არქიტექტურის ფაკულტეტთან და ხელის შეგვიწყობს, როგორც დამსაქმებელ ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარებაში ასევე ღონისძიებეის დაგემავა და განხორციელებაში.

*პარტნიორობა მეწარმეობისთვის მწვანე მშენებლობის სექტორში*

2018 წლის 14 და 16 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მდგრადი განვითარების ლაბორატორიაში (აუდიტორია 403 ც) 12 საათზე შედგა ლექცია, რომელიც წარმოადგენს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო ტრენინგ კურსის „მწვანე (მდგრადი) მშენებლობაში“. კურსს გაუძღვა ზაალ ხელაძე, რომლის დახმარებითაც არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შეიქმნა და ფუნქციონირებს აღნიშნული ლაბორატორია. სასწავლო კურსს დაესწრნენ ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლები და სტუდენტები ასევე დაინტერესებული პირები.

კურსში განიხილავს მწვანე მშენებლობის იდეოლოგიას, არსებული შენობებისათვის მწვანე სტატუსის მინიჭებას და შენობათა მენეჯმენტის მწვანე მეთოდილოგიებს, ინტეგრირებული დიზაინი სასწავლო ფორმატში 5 პრეზენტაციად. თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი იყო ორი ვიდეო რგოლი (სულ: 120 სლაიდი). ტრეინინგ კურსი გაწერილია 4 აკადემიური საათისათვის. 3 აკადემიური საათი ჩატარდა 14 მარტს და ერთი საათი 16 მარტს.

„კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსი „მწვანე (მდგრად) მშენებლობაში“ განიხილება როგორც პროდუქტი პროფესიის მაძიებელთა განათლებისთვის. კურსი დაეხმარება სამშენებლო სექტორში მოღვაწე გადაწყვეტილების მიმღებ პროფესიონალებს

(არქიტექტორები, ინჟინრები, დეველოპერები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მოღვაწე ჩინოვნიკები და სხვ.) და საკითხით დაინტერესებულ მსურველებს მწვანე მშებნებლობის საფუძვლების დაუფლებაში.



ასეთი სასწავლო მოდულის შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია ახალგაზრდა და ზრდასრულ ადამიანთა დასაქმების პოტენციალის გაზრდის სურვილით. მის მიზანს წარმოადგენს პროფესიონალი ტრეინერების მომზადება შემდგომში სხვაპიროვნებების გადასამზადებლად და მათთვის მწვანე მშენებლობის უნარ- ჩვევების გასაზიარებლად.

მას მერე, რაც საქართველოს მოსახლეობამ განუსაზღვრა საკუთარ მთავრობას ამოცანა გაერთიანებულიყო საერთო ევროპულ ოჯახში, მწვანე ცხოვრების წესი მარკეტინგული კომპონენტიდან გადადის საკანონმდებლო სფეროში და ხდებამოსახლეობის ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ძირითადი ნორმა. ასეთი მიმართულებით განვითარება უკავშირდება ახალი სპეციალობების წარმოშობას, როგორიცაა: მწვანე ზედამხედველი, ენერგოაუდიტი, ნარჩენების მართვის ინჟინერიდა სხვ.. შენობების ძირითადი მახასიათებელი კომპონენტი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ხარჯთეფექტურობასთან, შენობის ხარჯებს კი წარმოადგენს დანახარჯები ენერგიაზე, ამიტომ განმსაზრვრელი მწვანე მშენებლობაში,გარემოსდაცვით კომპონენტებთან ერთად, გახლავთ ენერგოეფექტური ღონისძიებები. სასწავლო კურსში ზედაპირზე გამოტანილია ენერგოეფექტური ღონისძიებების და მასთან ერთად განახლებადი ენერგიების გენერატორებისმნიშვნელობა.

ლექციაზე განხილული იყო მწვანე ბიზნესის განვითარების ეტაპები საქართველოში, პირველი პროეტები შესრულებული ინტეგრირებული დიზაინით. ხის კარკასული მშენებლობის განვითარება და პირველი კერძო პროექტები. პირველი მაშტაბური ინიციატივა იყო სწორედ აღნიშნული ლაბორატორიის დაარსება და განხორციელება, რომელიც 9 წლის წინ შექმნა ზაალ ხელაძემ შპს „ვუდ სერვისის“ დახმარებით და ასევე სათაო ოფისის შენობა. დონორების მიერ მხარდაჭერილი მდგრადი პროექტები საქართველოში, როგორც ახალ მშენებლობაში, ასევე ძველის რეაბილიტაცია, მწვანე მშენებლობის ხელშემწყობი პირობები, ბრაუნფილდების გავარგისიანება და განაშენიანებისთვის დაბრუნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბრაუნფილდიდან გრინფილდისკენ; განხილული იყო ასევე პირველი მასშტაბური ინიციატივა, მდგრადი საცხოვრისის დაარსება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ბრაუნფილდის მართვის პირველი წარმატებული მაგალითი თბილისში, 2016 წელს დაპროექტებული და აშენებული №95 საბავშვო ბაგა–ბაღი თბილისში, ენერგოცენტრალი თელავში, რაბათის ციხის მინათების სისტემის ენერგოეფექტური რეაბილიტაცია. ლექციაზე წარმოდგენილი იყო დაგეგმილი პროექტები, რომლებიც ახლო მომავალში განხორციელდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ლექციის ერთ ერთ საინტერესო ნაწილს წარმოადგენდა თემა: ტრადიციებიდან ინოვაციებისკენ, სადაც განხილული იყო ყველა ის ეკოლოგიური გადაწყვეტები, რომელის საფუძველზე განვითარდა თანამედროვე ტექნოლოგიები. დასაქმების პოტენციალი და მომავლის პერსპექტივები და სხვა.

ბოლოს ზაალ ხელაძემ სტუდენტებს შესთავაზე მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული სასწავლო კურსის პოპულარიზაციაში საქართველოს რეგიონებში გასვლითი ღია ლექციების

მოწყობით.

*შეხვედრა დამსაქმებელ ორგანიზაციებთან*

2018 წლის 15 მარტს დამსაქმებელ ორგანიზაციატა შეხვედრის ფორმატში მოექყო შეხვედრა კურსდამთავრებულებთან: შპს „ემ სტუდიოს“ დირექტორთან რობიზონ გეთიაშვილთან და შპს „ურბან დიზაინ სტუდიოს“ დირექტორტან ლუდა ჩიქოვანთან. დღეს ეს ახალგაზრდები ეწევიან დამოუკიდებელ პრაქტიკულ მოღვაწეობას, სურვილი გამოთქვეს თანამშრომლობაზე, სხადასხვა ღონისძიებეში ჩართულობაზე, სტუდენტებისთვის დასაქმების ხელშეწყობაზე და სხვა.




*შეხვედრა დამსაქმებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან*

2018 წლის 20 მარტს 16 საათზე სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა შეხვედრა საქართველოს ხის დამამუსავებელტა და ავეჯის მწარმოებელტა ასოციაციის აღმასრულებელთა ასოციაციის დირექტორთან მამუკა ხოშტარიასთან და სააქციო საზოგადოება „ორბელი 91“ –ის დირექტორთან ბესარიონ ჩხაიძე. შეხვედრას ესწრებოდნენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგები და სტუდენტები.

ბატონმა ბესარიონმა დამსწრეებს წარმოუდგინა გრაფუკული დიზაინერული პროგრამა 3KEVOLUTION და მისი შესაძლებლობები და მუშაობის პროცესი შიდა ინტერიერის, ავეჯის და მოსაპირკეთებელი მასალების დაპროექტებისთვის. აღნიშნა, რომ ეს არის იტალიური პროგრამა, რომელიც დაამუშავეს და ახალ დონეზე აიყვანეს ქართველმა პროგრამისტებმა. დღეს პროგრამირება და ტექნოლოგიები სწრაფი ტემპით ვიტარდება და შესაბამისად პროგრამირება ებმება წარმოებას. შეიქმნა სისტემა, რომელიც დიზაინერულ გადაწყვეტილებებს და სესრულების პროცესს თავიდან ბოლომდე ახორციელებს. მსგავსი პროგრამა არ გააჩნია არცერთ ორგანიზაციას. პერპექტიულია და მომავალში დიზაინერმა აუცილებლად უნდა აითვისოს რატა იყოს მოთხოვნადი დასაქმების ბაზარზე. ბოლოს ბატონმა ბესარიონმა 2 საათიანი მასტერ კლასი ჩაატარა დამსწრეებს.

ეს შეხვედრა განსაკუტრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და მომავლისთვის იგეგმება სასწავლო მოკლე კურსების და პრაქტიკის ორგანიზება როგორც პედაგოგებისთვის ასევე სტუდენტებისთვის.





## “Paper Architecture and Parametric Design” – „ქაღალდის არქიტექტურა და პარამეტრული დიზაინი“

### Erasmus+ - სალექციო კურსი არქიტექტურის მიმართულებით

2018 წლის 19–23 მარტს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, ეწვივნენ ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის (Faculty of Architecture/University of Lisbon – FA/ULisboa ) (პორტუგალია) პროფესორები ანტონიო კასტელბრანკო (Antonio Castelbranco) და პედრო მიგელ გომეშ ხანუარიო (Pedro Miguel Gomes Januario). პორტუგალიელი სტუმრები სტუ-ს სტუმრობდნენ სწავლების მიზნით Erasmus+ მობილობის პროექტის ფარგლებში, რომლის კოორდინატორია ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. პროფესორებმა შეხვედრები გამართეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტსა და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, სადაც შეხვდნენ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. მათ ჩაატარეს ლექციები არქიტექტურის მიმართულებით. ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ევოლუციური არქიტექტურა, ურბანისტიკა, ადამიანის ზეგავლენა ბიოსფეროზე, თანამედროვე ურბანისტიკაში არსებული ხარვეზები და სხვ. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე ისაუბრეს მიმდინარე პროექტებსა და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე. ასევე, გაიმართა შეხვედრა ერაზმუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელთან, ლიკა ღლონტთან, სადაც განხილული იქნა ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ერთობლივ პროექტებთან დაკავშირებული აქტუალური დეტალები. მობილობის პროგრამით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფარგლებში, პორტუგალიელმა სტუმრებმა დაათვალიერეს პარლამენტის ბიბლიოთეკა, სადაც ისინი შეხვდნენ მთავრობის წევრებს, არქიტექტურული სკოლის წარმომადგენლებსა და პროფესიულ საზოგადოებას.

2018 წლის 23 მარტს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 403 ც აუდიტორიაში პროფესორმა პედრო მიგელ გომეშ ხანუარიომ (Pedro Miguel Gomes Januario) ჩაატარა სემინარი და ვორქშოფი თემაზე: “Paper Architecture and Parametric Design” - პარამეტრული დიზაინი. სემინარი და ვორქშოფი განკუთნილი იყო ფაკულტეტის პედაგოგეგბისთვის და დოქტორანტებისთვის. პარამეტრული დიზაინი დღესდღეობით ერთ ერთი აქტუალური მიმართულებაა არქიტექტურაში. ეს არის მეთოდი შეიქმნას ტექტონიკური სტრუქტურები, ახალი ფენომენალური გააზრება საზოგადოებრივი სივრცეების ქალაქის სტრყქტურაში, რომლის განხორციელება შესაძლებელია სპეციალური კომპუტერული პროგრამების საშუალებით: Sketchup, Riner da Grasshopper.

ვორქშოფის მიზანი იყო პედაგოგეგბის და დოქტორანტების კვალიფიკაციის ამაღლება პარამეტრულ დიზაინში. ესწრებოდნენ ასოცირებული პროფესორები ნუგზარ ხვედელიანი, გურამ აბულაძე, დავით ბოსტანაშვილი, ნინო ჩაჩავა, ასისტენტ პროფესორი შოთა გელაშვილი,

მასწავლებელი გურამ ხოსრუაშვილი, დოქტორანტი ნანა ლეკვეიშვილი, სტუდენტი ირაკლი ფანცხავა.





## *GRAPHISOFT. ARCHICAD - ტრენინგი პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის*

2018 წლის 22 მარტს ევროპის სააქციონერო საზოგადოების გრაფსოფტი – უნგრეთი წარმომადგენლების მიერ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია და ტრენინგი: ARCHICAD 21. ლექცია და მასტერ კლასის მიზანია ტექნიკური ცოდნის პოპულარიზაცია, სასწავლო ცენტრების უზრუნველყოფა პროგრამებით ARCHICAD და თანამედროვე ინფორმაციული მოდელირების ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში (BIM – Building Information Modeling).






## *„თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების პროექტის“ ბოლო ეტაპის განხილვა*

2018 წლის 29 მარტს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო „თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების პროექტის“ ბოლო ეტაპის განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ პროფესიული საზოგადოების წევრები არქიტექტორები, ექსპერტები და საკრებულოს წევრები. შეხვედრა წარიმართა საქმიან ვითარებაში. პროექტის ავტორებმა დაწვრილებით ისაუბრეს გენგეგმის იდეოლოგიაზე, გამოწვევებზე, პრობლემებზე და გადაწყვეტებზე.

ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: http://www.city.kvira.ge/2018/03/30

2015 წელს თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერში გამარჯვებული ჯგუფის წევრები არიან სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მოწვეული ასოცირებული პროფესორი არქიტექტურის აკადემიური დოქტორი მერაბ ბოლქვაძე, მასწავლებელი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი გივი შავდია(აწ გარდაცვლილი), პროფესორი, არქიტექტურის, მეცნიერებათა კანდიდატი გია შაიშმელაშვილი (გარდაცვლილი), მასწავლებელი დემურ სვანიძე, მასწავლებელი თეიმურაზ ზედელაშვილი, ასისტენტ პროფესორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი მამუკა სალუქვაძე „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ თანადამფუძნებლები და დირექტორი.

(www.city.kvira.ge არის საინფორმაციო -ანალიტიკურ პორტალ „კვირასა“ და ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი – საქართველოს“ ერთობლივი პროექტი, რომელიც, ძირითადად, აშუქებს დედაქალაქის პრობლემატიკასა და მისი ურბანული განვითარების პერსპექტივებს.)

 

***სტუდენტური კონკურსი: „საუკეთესო ინტერიერის პროექტი“***



2018 წლის 29 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში მოეწყო სტუდენტთა დაჯილდოება. ინტერიერის და დიზაინის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თინათინ ჩიგოგიძის ინიციატივით ჩატარდა სტუდენტთა კონკურსი: „საუკეთესო ინტერიერის პროექტი“. კონკურსის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები II კურსის ბაკალავრები: გიორგი ჩაბალუხა, ელენე ბერძენიშვილი, ნუცა კიკნაველიძე, ჰაროლდ სააკიანი, თეო გეგეშიძე, დაჩი მთიულიშვილი.

სტუდენტებს საზეიმო ვითარებაში გადეცათ სიგელები.

***პროექტის დასრულება თემა:„დიდუბის არეალის კვლევა“***

2018 წლის მარტს დასრულდა ერთობლივი პროექტი: ქ. თბილისში დიდუბის არეალის კვლევა“. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის და სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტები. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2017 წლის 7, 8 და 9 ოქტომბერს, რომელსაც წინ უძღვოდა ვორქშოფი და თემატური ლექციები.

პროექტის მიმდინარეობის ამსახველი მასალა მოამზადა ავსტრიულმა მხარემ.

იხილეთ მიმაგრებული ფაილი http://gtu.ge/Arch/Pdf/publications/TUwien%20-%20Didube.pdf

***თბილისის V საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი–კონკურსი***
***Vakhtang Chabukiani Tbilisi V International Choreographic Festival-Competition***




2018 წლის 1 აპრილს საქართველოს პედაგოგ–ქორეოგრაფთა ასოციაციის (Georgian Teacher-choreographer Association) მიერ ჩატარდა თბილისის V საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი–კონკურსი (Vakhtang Chabukiani Tbilisi V International Choreographic Festival-Competition). ფესტივალისთვის გაიმართა ტრადიციული კონკურსი პლაკატზე, ბანერზე და მოსაწვევზე, რომელშიც ზედიზედ ხუთი წელი მონაწილეობას ღებულობენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის ავთანდილ დირმელაშვილის მე–2 კურსის სტუდენტების. კონკურსში გაიმარჯვა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მე–2 კურსის სტუდენტმა ელენე ბერძენიშვილმა. მისი შესრულებული პლაკატი პირველი ადგილით აღინიშნა და დაიბეჭდა ფესტივალისთვის.



ბანერი და მოსაწვევში გაიმარჯვა მე–2 კურსის სტუდენტმა ნუცა კიკნავალიძემ.

*შეხვედრა არქიტექტორ გიორგი ბაგრატიონთან*



2018 წლის 4 აპრილს 19 საათი 403 ც აუდიტორია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა შხვედრა არქიტექტორ გიორგი ბაგრატიონთან. შეხვედრის მიზანი იყო მაგისტრანტების ჩართვა სამეცნიერო–პრაქტიკულ სამუშაოში. კერძოდ: „თბილისის, შიდა ქართლის და ქვემო ქართლის ხუროთმოძღვრული ძეგლების ინტერაქტიული, ისტორიულ–გეოგრაფიული რუქის და საცნობარო–საილუსტრაციო მონაცემთა ბანკის შექმნა“. მსგავსი პროექტი შესრულდა „სამხრეთ კავკასიის ისტორიული ძეგლებზე“ რომლიც გულისხმობს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონების საინგილოს, ლორეს, ფოცხოვის, ერუშეთის, კოლას, არტაანის, ჩილდირის, შავშეთის, კლარჯეთისა, ტაოს და ა.შ. ქრისტიანული ხუროთმოძღვრების 102 (ას ორ) ძეგლების კვლევას. სწორედ ამ კვლევის ირგვლივ ისაუბრა გიორგი ბაგრატიონმა. დაწვრეილებითი ინფორმაცია ამ პროექტის შესახებ შეგიძლიოთ ნახოთ ბმულზე: http://maps.nekeri.net/caucasia/ka/.

პროექტმა მაგისტრანტებში დიდი ინტერესი გამოიწვია, მათ გამოთქვეს სურვილი პროექტში ჩართულობაზე.

გამოფენა „არქიტექტურული კომპოზიცია“







2018 წლის 12 აპრილს გალერეა „ვანდა“ გაიხსნება სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტთა საკურსო ნამუშევრების გამოფენა.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭონქაძის 14 გალერეა „ვანდა“

“არქიტექტურული კომპოზიცია“

2018 წლის 12 აპრილს გალერეა „ვანდაში“ მოეწყო სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტების საკურსო ნამუშევრების გამოფენა – კონკურსი „არქიტექტურულ კომპოზიციაში“. „არქიტექტურული კომპოზიციის“ მიზანია სტუდენტს განუვითაროს ვიზუალურ–სივრცითი წარმოდგენის უნარი, რაც თავის მხრივ, არქიტექტურული ობიექტის შექმნის საფუძველია.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 45 სტუდენტმა. თითოეულ სტუდენტს წარმოდგენილი ჰქონდა ოთხი

ნამუშევარი: შავ–თეთრი და ფერადი კომპოზიციები, ფორმალისტური ძიებები ორგანზომილებიან სიბრტყეში შექმნილი მარტივი გეომეტრიული ფიგურების წრის, კვადრატის, სამკუთხედის საშუალებით და სივრცული კომპოზიციები. ამავე დღეს მოხდა გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოება. ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი და სამახსოვრო საჩუქარი.

გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები ვანდა მუჯირი, თამარ ჭანტურია და მარინა მაისურაძე.




*„ასოციაციები“*

2018 წლის 16 აპრილს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მოეწყო „არქიტექტურის თეორიის“ მიმართულების სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენის გახსნა და დაჯილდოება. კურსი „არქიტექტურული დისკურსი მოდერნიზმის ირგვლივ“ წამყვანი პროფესორი მაია დავითაია













## *სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი მაგისტრანტებისთვის*

2018 წლის 16–30 აპრილის ჩათვლით სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე 403 ც და 506 ც. აუდიტორიაში ჩატარდა X სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარები: თანამედროვე არქიტექტურა–პრობლემები და გამოწვევები. სემინარში მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“–ის მაგისტრანტებმა.

**სემინარში მონაწილეები და მათ მიერ განხილული თემები:**

***2018 წლის 16 აპრილი***

1.ირაკლი ფიფია თემა: „რიკარდო ბოფილის საცხოვრისის იდეოლოგია“;

2.ანა მეფარიშვილი თემა: „ფერი არქიტექტურაში (თბილისის თანამედროვე არქიტექტურის მაგალითზე)“;

***2018 წლის 18 აპრილი***

1.თორნიკე სანაძე თემა: „ოსკარ ნიმეირის ბრაზილია“;

2.გიორგი თოიძე თემა: „თანამედროვე ბიბლიოთეკა“;

3.სანდრო გაჩეჩილაძე თემა: „არქიტექტურა, როგორც ტრადიცია“;

***2018 წლის 23 აპრილი***

1.პაატა მირცხულავა თემა: „ისევ მდინარე მტკვრის როლზე დედაქალაქის ქალაქგეგმარებით სტრუქტურაში“;

2.ზვიად გეგუჩაძე თემა: „ხელოვნება ქალაქში“

3.გიორგი ტაკიძე თემა: „მუზეუმი და არქიტექტურა“;

4.გიორგი ზარნაძე თემა: „მომავლის არქიტექტურა, კოსმოსური არქიტექტურა“;

5.ვიქტორია კარამიანი თემა: „სულიერება თანამედროვე ავანგარდში“;

***2018 წლის 25 აპრილი***

1.მირხა აკობია თემა: „ბლობ არქიტექტურა“

2.შოთა ფიფია თემა: „პოლიციის შენობები“

3.ირაკლი ხუტუაშვილი თემა: „არქიტექტურა, როგორც ფსიქოემოციური პრობლემები“;

4.ირაკლი ზამბახიძე თემა: „მომავლის არქიტექტურა წარსულში“;

5.ლევან ნოსელიძე თემა: „არქიტექტურა და ისეოლოგია“;

6.ლადო გვეტაძე თემა: „მდგრადი არქიტექტურა“.

***2018 წლის 30 აპრილი***

1.ლევან ქართველიშვილი თემა: „ცათამბრჯენი“;

2.იმედა ქოჩალიძე თემა: „რუსთაველის გამზირი“

3.ალექსანდრე ჩიქოვანი თემა: „რიკარდო ბოფილი“;

4.ანა ბარსეგოვა თემა: „პაოლო პორტოგეზის შემოქმედება“;

5.ლევან ნაფეტვარიძე თემა: „იუსტიციის სახლის კრიტიკული ანალიზი“

  

*სემინარი: „მწვანე არქიტექტურაში“*



2018 წლის 17 აპრილს მდგრადი არქიტექტურის განვითარების ლაბორატორიაში, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის შედგა პირველი თემატური სემინარი: „ხის კონსტრუქციები“, რომელსაც გაუძღვა ლაბორატორიის ხელმძღვანელი ზაალ ხელაძე.

სულ ჩატარდება 10 სემინარი. სემინარების ძირითადი მიზანია დავიცვათ სამყარო ეკოლოგიური კატასტროფისგან მდგრადი არქიტექტურის პრინციპების გათვალისწინებით. ასევე გათვალისწინებულია სტუდენტების მენტორებად მომზადება, რომლებიც რეგიონებში სკოლებში ჩაატარ ებენ ტრენინგებს.

*შეხვედრა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებსა და არქიტექტურული და ინტერიერის დიზაინის სექტორში მოღვაწე კომპანიებთან - „უნივერიტეტებთან თანამშრომლობი პლატფორმა“*



2018 წლის 27 აპრილს, სასტუმრო თბილისი მარიოტში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების ორგანიზებით, **„უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის“** ფარგლებში, შედგა შეხვედრა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებსა და არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის სფეროში მოღვაწე 30-ზე მეტ კომპანიას შორის.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის და შავი ზრვის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკუტეტებმა. უმარლესი სასწავლებლების დეკანებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს საგანმანათლებლო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, და მოისმინეს აღნიშნულ სფეროში მოღვაწე ადგილობრივი კომპანიების მოსაზრებები. ღონისძიება, რომელიც დისკუსიის ფორმატში წარიმართა, მიზნად ისახავს საგანმანათლებლო სექტორის კერძო სექტორთან სისტემური დაახლოების ხელშეწყობას, კერძო სექტორის მოთხოვნებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, რათა ეფექტურად დაიგეგმოს სამომავლო აქტივობები. სააგენტოს „აწარმოე

საქართველოში“ დირექტორის მოადგილის ზვიად ქვლივიძის განცხადებით, აღნიშნული შეხვედრა არ იქნება ერთჯერადი ხასიათის და აუცილებლად გაგრძელდება ვიწრო ჯგუფური სამუშაო შეხვედრების ფორმატით. ღონისძიებას ესწრებოდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი თემურ ბოლოთაშვილი. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის დეკემბრის თვეში სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის სფეროში მოღვაწე კომპანიების მხარდაჭერის ინიციატივით გამოვიდა, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა ერთობლივი გაფართოებული შეხვედრა აღნიშნულ სფეროში მოღვაწე კომპანიებთან. ღონისძიების ფარგლებში განხილული იყო ის ინიციატივები და მიზნები, რასაც სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის სფეროში მოღვაწე კომპანიების ხელშეწყობისთვის. ამასთანავე, აღნიშნულმა შეხვედრამ ხელი შეუწყო ქართული კომპანიების ერთმანეთთან დაკავშირებას და ინტერნაციონალიზაციის მიზნით სინერგიული აქტივობების დაგეგმვას. „აწარმოე საქართველოში – ექსპორტის“ მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/media-center/news/universitetebTan-TanamSromlobis-platformis-meore-RonisZieba?id=700

***„გარაჟი“ – პოტენციური საჯარ სივრცე***
***ავტოფარეხების გადააზრება, ტრანსფორმაცია და ადაპტაცია***

2018 წლის 1 მაისიდან – 16 ივნისის ჩათვლით სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართება არქიტექტურული ვორქშოფი თემაზე: **„გარაჟი“ – პოტენციური საჯარ სივრცე, ავტოფარეხების გადააზრება, ტრანსფორმაცია და ადაპტაცია**

2018 წლის 30 აპრილს შედგა შეხვედრა ვორქშოფში მონაწილე სტუდენტებსა და ტუტორებს შორის. შეხვედრაზე ტუტორებმა წარმოადგინეს ვორქშოფის მიზანი, ლოკაციის ადგილები: გლდანი, ვარკეთილი და ბახტრიონის მიმდებარე ტერიტორია. სტუდენტები გადანაწილდნენ ჯგუფებში, აირჩიეს ლოკაციის ადგილები. შეხვედრა წარიმართა დიალოგის ფორმატში.






***საჯარო ლექცია „გარაჟი - ინკრემენტალური სივრცე“***

2018 წლის 1 მაისს 19 საათზე, პროექტ „სტუდენტ-არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადის“ ფარგლებში, ნაძალადევის მედიათეკაში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „გარაჟი - ინკრემენტალური სივრცე“. საჯარო გამომსვლელი მილანის ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრი, “MUA - Multiverse Architecture” - ის არქიტექტორი უჩა ზღუდაძე იყო.

ლექციის ძირითადი თემა ეხებოდა “გარაჟების” რეტროსპექტული ანალიზს, პოლიტიკურ,

ეკონომიკურ და ურბანულ ჭრილში. პროექტ „სტუდენტ-არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადის“ მიზანია თბილისის ავტოფარეხების და მათ მიერ დანაწევრებული საზოგადოებრივი სივრცეების გადააზრება, მათი პოტენციალის აღმოჩენა და განვითარების სცენარების შემუშავება ლოკაციებისა და მოცემულობების გათვალისწინებით.

პროექტში მონაწილე სტუდენტები შეიძენენ გამოცდილებას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი სივრცეების ანალიზს და სოციალურ კვლევაზე დაყრდნობით ქალაქში არსებული პრობლემების გამოვლენას, აგრეთვე მოსახლეობასთან მჭიდრო მუშაობით, მათი გაუმჯობესების სცენარების შეთავაზებას.

პროექტის დამფინანსებელია ქ.თბილისის მერია და ხორციელდება ახალგაზრდა არქიტექტორებისა და “Urban Experiments Group” მიერ.

**პროექტში მონაწილეობას იღებს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრები.**

https://apu.ge/ka/news/sajaro-lektsia-garazhi-inkrementaluri-sivrtse/84





### *სამეცნიერო კონფერენცია "არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები"*



2018 წლის 13 მაისს, 11:00 სთ., საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ორგანიზებით, ეროვნული ბიბლიოთეკის მცირე დარბაზში გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია "არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები"

### *სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“*



2018 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა პროფესორ გიორგი (გია) შაიშმელაშვილის ხსოვნას. კონფერენცია გაიხსნა დოკუმენტური ფილმის „მკვლევარი“ ჩვენებით, რომელიც მოგვითხრობს გიორგი (გია) შაიშმელაშვილის მიერ განვლილ შემოქმედებითი მოღვაწეობის გზას. ფილმი გადაიღო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის დავით აბულაძის ინიციატივით რეჟისორ ბექა ავარსკიმ. ფილმის ჩვენების შემდგომ გია შაიშმელაშვილი მოიგონეს მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა. სიტყვით გამოვიდნენ დავით აბულაძე, გიორგი სალუქვაძე,

ნიკოლოზ შავიშვილი, გოჩა მიქიაშვილი, გეგი შაიშმელაშვილი და სხვა.

სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ეხებოდა არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის პრობლემებს. მასში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლებმა, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლების და არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენლებმა.

*დოკუმენტური ფილმი „არქიტექტორი გია შაიშმელაშვილი“*

2018 წლის 13 მაისს საქარტველოს ეროვნულ ბიბლიოტეკაში შედგა დოკუმენტური ფილმის ჩვენება „არქიტექტორი გია შაიშმელაშვილი.

ფილმი გადაღებულია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ინიციატივით. რეჟისორი ზექა ავარსკი.

ფილმის სანახავად ეწვიეთ ვებ–გვერდს

http://archtv.ge/2018/05/12/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A/

*გერმანულ–ქართული საერთაშორისო პროექტი*





2018 წლის 7 მაისს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ქართულ–გერმანული კომპანიის „ბაზალტ ფაიბერის“ წარმომადგენელი გიორგი გოგოლაძის და ფაკულტეტის დეკანის ნინო იმნაძის ინიციატივით შედგა შეხვედრა ბავარისს საერთაშორისო არქიტექტურის საბჭოს წევრებსა და ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლებს შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ ბავარიის არქიტექტურის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი დოქტორი იორგ ჰეილერი, წევრები არქიტექტორები იაკობ ობერპილლერ და სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლები: გ. სალუქვაძე, ლ.ბერიძე, ნ. ხაზეიშვილი, ი. მურღულია, მ. ბოლქვაძე, გ. გეგელია, ნ. ჩაჩავა და მ. ბარათაშვილი.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენს ერთობლივი პროექტის შექმნა რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ფუნქციის მინიჭებით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი სივრცეები, ინკლუზიურობა და ინოვაციური მასალები. ჩართულები იქნებიან ბავარისს არქიტექტურული საბჭო, ქ. რუსთავის მერია და სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები და სტუდენტები.

თემა: რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც არის აქტუალური პრობლემა. სტუმრები ეწვიენ ქ. რუსთავის, არინიშნა, რომ ამ ქალაქს გააჩნია ისეთი ხარისხის ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროებს ფრთხილ განვითარებას. დიდი ქალაქები ასუსტებენ პერიფერიებს, ხდება ახალგაზრდების გადინება პერიფერიიდან. აქედან გამომდინარე საჭიროა პერიფერიას მიენიჭოს ფუნქცია და მოხდეს მისი განვითარება ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, კულტურული ინდიკატორებით და გამოცდილების გაცვლით–გაზიარებით. პატარა ქალაქისთვის მარტივი სტრუქტურის შემუშავება, გამოცდილების გამდიდრება შემოქმედებითი სივრცის და ტექნიკური განათლების გაძლიერება და ინოვაციების გაცნობა, ასეთად გვესახება ქ. რუსთავი.

## *საჯარო ლექცია თემაზე „გარაჟი- სივრცე ინოვაციისთვის“*

2018 წლის 8 მაისს, “ გალერეა ბიბლუსში” , კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციისა და “Urban Experiments Group” -ის ორგანიზებით ჩატარდება მესამე საჯარო ლექცია თემაზე „გარაჟი-სივრცე ინოვაციისთვის“. ღონისძიება პროექტ „სტუდენტ-არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადის“ ფარგლებში გაიმართა.

საჯარო გამომსვლელი „Politecnico Di Milano“ არქიტექტურის ფაკულტეტის მაგისტრი, „TIMM ARCHITECTURE “-ის დამფუძნებელი - ნიკოლოზ ლეკვეიშვილი იყო.

ლექციაზე მოწვეულმა არქიტექტორებმა და სტუდენტებმა მომავლის სამუშაო სივრცე განიხილეს.

პროექტ „სტუდენტ-არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადის“ მიზანია თბილისის ავტოფარეხების და მათ მიერ დანაწევრებული საზოგადოებრივი სივრცეების გადააზრება, მათი პოტენციალის აღმოჩენა და განვითარების სცენარების შემუშავება ლოკაციებისა და მოცემულობების გათვალისწინებით.
პროექტის დამფინანსებელია ქ.თბილისის მერია.

პროექტში მონაწილეობას ირებენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტები.

## *სასწავლო – შემეცნებითი ტური კახეთში*



2018 წლის 12 მაისს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, ინტერიერის და გარემოს დიზაინის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფესორ თინათინ ჩიგოგიძის და სტუდენტების მიერ, საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე, ორგანიზებული იყო სასწავლო – შემეცნებითი ტური კეხეთში. სტუდენტებმა და პროფესორ–მასწავლებლებმა მოინახულეს: კახური ტრადიციული მეღვინეობის (KTW) ღვინის ქარხანა ველისციხეში და ყვარელში "მეღვინეობა ხარების" ტურისტული კომპლექსი.

ტურის მიზანია გაცნობა ღვინის ქარხნების ინტერიერის თავისებურების. რაც მნიშვნელოვანია საკურსო პროექტის შესასრულებლად საგანში: „სამრეწველო შენობების ინტერიერის დაპროექტება“.

## *ამერიკისმცოდნეობის მე-19 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია*

2018 წლის 17 მაისს, 11 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში, თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით ამერიკისმცოდნეობის მე-19 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია იხსნება, რომელიც საქართველოში ამერიკისმცოდნეობის დაარსების 20 წლისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილეს ეძღვნება.

კონფერენციაში საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები, პროფესორები, სტუდენტები და მკვლევრები მონაწილეობენ. კონფერენციის მოხსენებების თემატიკა ამერიკული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოიცავს. კონფერენციაზე იმუშავებს: ისტორიისა და პოლიტიკის, აშშ-საქართველოს ურთიერთობის, საგარეო პოლიტიკის, მკვიდრი ამერიკელების, ლიტერატურისა და ენის, კულტურის, სოციალური საკითხების და სამართლის, ლათინური ამერიკის, ფილოსოფიის, მედიის, მედიცინის, ეკონომიკის და არქიტექტურის სექციები.

მოეწყობა მრგვალი მაგიდა საქართველოში ამერიკისმცოდნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ და ქართველ მეცნიერთა (ვ. კაჭარავა, ე. მეძმარიაშვილი) ამერიკული პრობლემატიკისთვის მიძღვნილი წიგნების პრეზენტაცია. კონფერენციაზე 130 მონაწილე წარადგენს თავის მოხსენებებს.

კონფერენცია სამდღიანია და 19 მაისს დასრულდება.

17 მაისს კონფერენციის გახსნას საქართველოში აკადემიური წრეების, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები დაესწრებიან.

*EASMUS+ Credit Mobility - საერთაშორისო მობილობა პედაგოგებისთვის*

2018 წლის 20 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე (პორტუგალია) აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, სწავლების მიზნით იმყოფებოდნენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი ნინო იმნაძე და ასოცირებული პროფესორი ნათია ქოჩლაძე. მათ წაიკითხეს ლექცია: „ტრანსფორმაცია არქიტექტურაში" და „კლიმატის გავლენა ქართული საცხოვრებლის ინტერიერის ჩამოყალიბებაზე". ლექციას ესწრებოდნენ ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის მაგისტრანტები და მათი პედაგოგები: პროფესორები ანტონიო კასტებლანკა და პედრო როდრიგესი. გარდა ლექციისა საგანში: „არქიტექტურული პროექტირება" ქართველმა პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღეს საკურსო პროექტების განხილვაში.

ასევე შედგა სამუშაო შეხვედრა ანტონიო კასტებლანკასა და ოქსანა ტურჩინინასთან. დაიგეგმა გარკვეული ღონისძიებები ორმაგი დიპლომის სადოქტორო პროგრამის „მდგრადი ურბანიზმი" გაუმჯობესებისთვის, აღნიშნული პროგრამა მომზადდა ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტთან ერთად. დაიგეგმა კიდევ ერთი პროექტი, რომელიც გულისხმობს სადოქტორო პროგრამის შექმნას არქიტექტურასა და ქალაქგეგმარებაში. აღნიშნული პროექტი დოქტორანტებს უფრო მეტ შესაძლებლობებს მისცემს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამაში.




*საჯარო ლექციები ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში*

2018 წლის 21-22 მაისს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართება საჯარო ლექციები, რომელსაც გაუძღვებიან სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები.

21 მაისს 12 საათზე

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის ვახტანგ დავითაიას საჯარო ლექცია - "ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია, არქიტექტურა კონტექსტში";
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პედაგოგი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორის ბესარიონ ტატიშვილის საჯარო ლექცია - "ბათუმის ძველი (მიტოვებული უმოქმედო, უსარგებლო) სამრეწველო შენობების რევიტალიზაცია, რეკონსტრუქცია და ადაპტაცია".

22 მაისი: 11 სთ.

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრის გია ჭანიშვილის საჯარო ლექცია - „ბათუმი- ევროპული ქალაქი (ისტორიული განაშენიანების

სტრუქტურა და არქიტექტურული სტილი)
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის გიული გეგელიას საჯარო ლექცია - "რეკონსტრუქცია რეაბილიტაცია რესპუბლიკის მასშტაბით და მისი მნიშვნელობა და აუცილებლობა ბათუმის მაგალითზე".
http://www.batu.edu.ge/main/page/2512/index.html

***სასწავლო პროექტი - „პლეხანოვის“ უბნის შენარჩუნებადი განახლება“ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში.***




2018 წლის 8 ივნისს სავაჭრო ცენტრ „ქარვასლაში“ მოეწყო მომავლის ქალაქმგეგმარებელთა რეალური ლაბორატორიის და ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორული თანამშროლმობით 2017 წლის მარტიდან ამუშავებული „პლეხანოვის“ უბნის განვითარების სასწავლო პროექტის კვლევითი ნაწილის განხილვა.

პროექტში მონაწილეობას იღებენ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები: დეა ხიზანიშვილი, ანა წიკლაური, გიორგი შონია, ინა ზარზაქაძე, გუკა კამლაძე, და შალვა მახარაძე.

***სასწავლო პროექტი „გორის მიწათსარგებლობის გენგეგმა“***



2018 წლის 11 ივნისს "სითი ინსტიტუტი საქართველომ" და მისმა ხელმძღვანელმა მამუკა სალუქვაძემ სერტიფიკატები გადასცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს გორის მიწათსარგებლობის გენგეგმის წინასაპროექტო სამუშაოების წარმატებით შესრულებისთვის.

**სტუ-ს 86-ე სტუდენტთა ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

2018 წლის 20, 21, 22 და 27ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიხსნა სტუტენტური ღია სამეცნიერო-პრაქტიკული 86-ე კონფერენცია. კონფერენცია ჩატარდა სამ სექციაზე: არქიტექტურის და ურბანისტიკის, არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის, ინტერიერის და დიზაინის.
კონფერენცია გახსნა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინს ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნინო იმნაძემ.

არქიტექტურის და ურბანისტიკის სექციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი თემები: არქიტექტურა და ქანდაკება (ფომ რმა და მისი შინაარსი), ფერის ფსიქოლოგია და მისი როლი არქიტექტურაში, თანამედროვე ბიბლიოთეკები, თბილისური არქიტექტურა, ისევ მდინარე მტკვრის როლზე ქალაქგეგმარებით სტრუქტურაში, ბლობ არქიტექტურა, საკრალური სივრცეების წარმოსახვითი დიზაინი, ბარაკონის ტაზარი, ჰიბრიდულობა ტანამედროვე ქალაქის პრობლემა თუ პრობლემების გადაჭრის საუკეტესო გადაწყვეტა, მინა ტანამედროვე არქიტექტურაში, ჩუმი საშიშოება, როგორ ვებრძოლოთ მავნე ნივთიერებას, კონვერსია არქიტექტურაში და ინტერიერში, ლანდსაფტი როგორც საქალაქო დიზაინის მნიშვნელოვანი კომპონენტი მუშტაეტის პარკის მაგალითზე და სხვა.

კონფერენციის ჟიურის წევრებმა შეაფასას მომხსენებლები დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით და გამოავლინეს გამარჯვებული სამივე სექციაზე.

*შეხვედრა დამსაქმებელთან:ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელთან*

2018 წლის 20 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს და პროფესორებს შეხვდა ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლაიშვილი. შეხვედრაზე გვანცა ნიკოლაიშმილმა ისაუბრა სამსახურის სტრუქტურაზე, მიზნებზე და მომავლის გეგმებზე. შეხვედრის ბოლოს სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი გაიარონ პრაქტიკა და უფრო ღრმად შეისწავლონ სამსახურის სპეციფიკა რაც მათ მისცემს საშუალებას მომავალში დასაქმდნენ. თავის მხვრივ სამსახურმაც გამოთქვა სურვილი პრაქტიკები გაატარონ სტუდენტებს.





სტუდენტური დღეები



2018 წლის 27 ივნისს დასრულდა სტუდენტური დღეები. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზინის ფაკულტეტის სტუდენტებმა დაიმსახურეს პრიზი ინტელექტუალურ კონკურსში გამარჯვებისთვის.

**გილოცავთ!**

***2017–2018 სასწავლო წელს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების აქტივობა რეალურ საპროექტო–გეგმარებით საქმიანობაში.***

ასოცირებული პროფესორის ირაკლი მურღულიას და ასისტენტ პროფესორი ნინო გვენცაძის ხელმძღვანელობით და მათი ინიციატივით ბაკალავრიატის 65211ჯგუფის სტუდენტები სასწავლო პროცესში მუშაობდენე რეალურ ურბანულ პროექტებზე ერთობლივად არქიტექტურულ ბიუროებთან.

- გურამ კამლაძე – შპს “არქიტექტურული ბიურო”

- "პარალელური განვითარება" - მთაწმინდის ერთერთი მიკროუბნის განვითარების პროექტი
- გ.ჩუბინაშვილის ქუჩის მიმდებარე ოთხი კვარტლის განაშენიანების რეგულირების გეგმა
- კურტი ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა
- ისანში (ავტონაწილების ბაზრობასთან) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.
- ბაკურიანში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

- მრავალბინიან საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა მექანიზაციის ქუჩაზე.
- დიღომიში, თბილისი მოლის მიმდებარედ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის 3 განაშენიანების რეგულირების გეგმა.

**ოთარ ხვედელიძე – შპს "ა–არქიტექტურა"**

- მცხეთაში, სამრეწველო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა
- მაგნიკაში, სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა
- ურეკში, სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა
- ნავდარაათკარში, საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა
- თბილისში, ლილოში, საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა

**ვერონიკა ლომინაძე – შპს "დეფანი ად"**

- კერძო სახლის პროექტი (მიმდინარე) ქ. თბილისში, „ბაგების სატყეო უბანში"
- ოფისის პროექტი (მიმდინარე), ქ. თბილისში წერეთელის გამზირზე, გამოფენის ტერიტორია.
- სპორტული სკოლის პროექტი (მიმდინარე), ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე.

**გიორგი ბეკურაშვილი**

**შპს "არქი დი–სი"**

- ალავერდის ინფრასტრუქტურის პროექტი

**შპს "არტ–სტუდიო"**

- კოლმეურნეობის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი

**გიორგი სეხნიაიძე – შპს "სტუდია 21"**

- ახმეტის მუნიციპალიტეტის და თუშეთის სივრცითი მოწყობის გეგმა

**ჯგუფი 2017 2.2, მაგისტრატურა**

- გივი კახაბრიშვილი – შპს "არქიტექტურული ბიურო"
- ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის საუბნო საზღვრებში საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმა (დასრულებული)
- ქ.თბილისში, დასახლება დიდ დიღომში, ველოტრეკის მიმდებარედ საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა (დასრულებლი)
- ქ.თბილისში, სოფელ თხინვალაში დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმა. (დასრულებული)
- გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, სოფელ გუდაურში, სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ( დასრულებული)
- ქ.თბილისში, სექტორ-ისანში, ქუჩა ქ.წამებულის N71-ის მიმდებარედ საზოგადოებრივი (კომერციული) და საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ( მიმდინარე)
- კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა ( მიმდინარე )

**ჯგუფი 2016.6 მაგისტრატურა**

- **გიორგი მაღალდაძე – შპს "ურბანიკა"**
- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე - განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- საცხოვრებელი ფუნქციის კომპლექსი თბილისში, თავდადებულის ქუჩაზე - განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ბაღდათის ქუჩაზე - განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, დიდი ლილოს დასახლებაში. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ლილოს დასახლებაში. - განაშენიანების

რეგულირების გეგმის პროექტი

- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, აეროპორტის დასახლებაში. - განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- ქ. ფოთში, მალთაყვის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- ბაკურიანისა და დიდი მიტარბის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი - გის-ის სპეციალისტი, არქიტექტორი

**ქ. ბათუმის ცენტრის წინასაპროექტო კვლევას და ურბანული რეკონსტრუქციის პროექტს.**

2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საკურსო პროექტის ფარგლებში სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 65211 ჯგუფი ამუშავებს ბათუმის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტს. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტთან და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურის სამსახურთან თანამშრომლობით პირველ სტადიაზე დამუშავებულ იქნა წინასაპროექტო კვლევა, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად მოიცავს დოკუმენტურ და ფიზიკური გარემოს კვლევებსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას.

წინასაპროექტო კვლევის ფარგლებში 13-15 აპრილს განხორციელდა საველე სამუშაოები. 4 ჯგუფად განაწილებულ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს შეუერთდნენ ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და ერთობლივი ძალებით განხორციელდა საპროექტო არეალში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა სართულიანობის, სიმაღლის, ფუნქციის, სტატუსისა და მდგრადობის მიხედვით. ვიზიტის ფარგლებში 14 აპრილს გაიმართა ვორქშოფი და პრეზენტაციები, რომელშიაც ახალგაზრდობასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისელმა და ბათუმელმა მოქმედმა არქიტექტორებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა და ოფიციოზის წარმომადგენლებმა.

სამ დღიანმა საველე სამუშაოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საპროექტო ტერიტორიის პრობლემებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში, რაც აისახა პირველი შუალედური გამოცდის შედეგებზე.

საბოლოო საკურსო პროექტის ჩაბარებამდე დაგეგმილია კიდევ ერთი ვიზიტი ბათუმში, სადაც დასაზუსტებელ საუშაოებთან ერთად განხორციელდება გაწეული სამუშაოების პრეზენტაცია ადგილობრივ პროფესიულ წრეებში და მერიის წარმომადგენლებთან.

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ირაკლი მურღულია.

*ARCHITEXTURA-არქიტექსტურა! Contemporary ceramics exhibition.*





2018 წლის 2-3 ივლისს სოფელ გარიყულაში ჩატარდა გამოფენა: “ARCHITEXTURA-არქიტექსტურა! Contemporary ceramics exhibition”, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტუ-ს არქტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის პედაგოგებმა: ზაზა სვანაძემ და გოგი კვიწინაშვილმა.

ზ. სვანაძე          გ. კვიწინაშვილი

*გამოფენა: „ქანდაკება“*

2018 წლის 5 ივლის სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში მოქანდაკე გ. ამირანაშვილის ინიციატივით მოეწყო სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა.








*ახალგაზრდა არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადა*

2018 წლის 6 ივლისს, 19:30 საათზე, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით და კერძო უმაღლესი სასწავლებელის ასოციაციისა და ჯგუფი „ურბანული ექპერიმენტების“ ორგანიზებით გაიმართება პროექტის „ახალგზარდა არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადის“ დასკვნითი ღონისძიება. ღონისძიება დაიწყო 15 აპრილს და მისი თემა იყო „გარაჟი პოტენციური საჯარო სივრცე” სტუდენტურმა გუნდებმა გამოცდილ არქიტექტორებთან და ურბანისტებთან ერთად მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე შეიმუშავეს თბილისის 3 ლოკაციაზე (ბახტრიონი, ვარკეთილი, გლდანი) გარაჟებით დანაწევრებული სივრცეების განვითარების სცენარები. ღონისძიება იმართება პროექტის ერთ-ერთ ლოკაციაზე, წარმოდგენილი იქნება ვიზუალურად გამოფენის ფორმატში სტუდენტური ჯგუფების შექმნილი ნამუშევრები (რენდერები, მაკეტები), აგრეთვე გაიმართება პრეზენტაციები კვლევის და შექმნილი კონცეფციების.







ღონისძიებას დაესწრებიან ქ. თბილისის მერიის და გამგეობების წარმომადგენლები, საკრებულოს წევრები, პარლამენტის წევრები, ურბანისტები, არქიტექტორები, ადგილობრივი მოსახლეობა.

პროექტის მონაწილე სტუდენტებს ღონისძიების დასასრულს გადაეცემათ სერთიფიკატები. ღონისძიებას საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრებიან, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები.

მისამართი: ფანასკერტელის ქუჩის #13ა

ურბანული ექსპერიმენტების ჯგუფი ქალაქისთვის კრეატიული პროექტების შესამუშავებლად შექმნილი მულტიდისციპლინარული გაერთიანებაა, რომელიც ამ ეტაპზე თბილისში არსებული ავტოფარეხების ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის გზებზე მუშაობს სტუდენტებთან ერთად.















2015 წელს ჯგუფი „ურბანული ექსპერიმენტები" სამმა არქიტექტორმა – ნუცა კანდელაკმა, შოთა საგანელიძემ და ნუცა ნადარეიშვილმა ჩამოაყალიბეს. მაგისტრატურის კურსი სამივემ უცხოეთში დაამთავრა და თბილისში დაბრუნებულებმა შექმნეს ჯგუფი, რომლის მეშვეობითაც უცხოეთში ურბანულ თუ არქიტექტურულ სფეროში სწავლისა და მუშაობის შედეგად მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას ქართველ სტუდენტებს გაუზიარებენ.

„ურბანული ექსპერიმენტები" მულტიდისციპლინარული ჯგუფია, რომლის მთავარი მიმართულება კვლევასა და დიზაინში bottom up (ქვევიდან ზევით) და hands on (უშუალოდ ხელჩართულ) მიდგომას ეფუძნება, რაც ანალიზის, კვლევისა და დაგეგმარების დროს ადგილობრივ მცხოვრებლებთან მჭიდრო თანამშრომლობას, მათი აზრებისა და მოთხოვნების

გათვალისწინებას გულისხმობს; ამგვარი პრაქტიკა ხელს უწყობს არქიტექტორებს, ურბანისტებსა და მოსახლეობას შორის ნდობის ჩამოყალიბებას.
თბილისში 1965-70-იანი წლებიდან, მანქანების დაცვის მიზნით, ე.წ გარაჟებით საზოგადოებრივი სივრცის მიტაცება-დანაწევრებამ მასობრივი ხასიათი მიიღო.
დღესაც ქალაქში არსებული ეზოების დიდი ნაწილი ქაოსურად განთავსებულ გარაჟებს უჭირავს და უბნის ეს პოტენციური თავშეყრის სივრცე გადაქცეულია მანქანის დასაყენებელ ადგილად. შედეგად, ხშირ შემთხვევაში დაკარგულია სათამაშო სპორტული მოედნები, შეხვედრისა და ინტერაქციის ადგილები, რეკრეაციული და საზოგადოებრივი სივრცეები.
სასურველია ეს პრობლემა გამოვიყენოთ შესაძლებლობად, რისთვისაც აუცილებელი იქნება ამ სივრცეების გადააზრება და მათი პოტენციალის აღმოჩენა. კვლევის პროცესში დავადგენთ, თუ რა როლს თამაშობს მსგავსი სივრცეები ქალაქის, სამეზობლოს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რა პოტენციალი აქვს მას და როგორ შეიძლება მათი ტრანსფორმაცია და ადაპტაცია დღევანდელ გამოწვევებთან. აღსანიშნავია, რომ ვორკშოპის უმთავრესი მიზანია სტუდენტებისათვის შემეცნების დონის ამაღლება, მათთვის დიზაინისა და კვლევის იმ სპეციფიკური მეთოდის გაცნობა, რომელსაც დასავლეთში Bottom up Approach ჰქვია და მოსახლეობისა და არქიტექტორ-ურბანისტების მჭიდრო ურთიერთობაზეა დამყარებული.
ამასთანავე, ვორკშოპის მიზანია ერთგვარი გზამკვლევის შექმნა, რომელშიც მოცემული იქნება ავტოფარეხებით დაკავებული საზოგადოებრივ სივრცეთა განვითარების სხვადასხვა სცენარი; ვორკშოპის მონაწილეები შეეცდებიან განსხვავებული სცენარით დაანახვონ ადგილობრივ მოსახლეობას, რომ არსებულ სივრცეებს გააჩნია პოტენციალი იყოს კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, კომერციული, რეკრეაციული ან სხვა ფუნქციის მქონე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავტოფარეხი როგორც არქეტიპი თუ არქიტექტურული ნაგებობა ხასიათდება ცვალებადი და ადაპტირებადი ფუნქციით, იგი ერგება დროს და მფლობელების თუ სამეზობლოს მოთხოვნილებებს.
https://at.ge/2018/06/03/garajebi/ **„სტუდენტები პროექტის ფარგლებში შეძლებენ რეალურ დროში პოზიტიური ზეგავლენა იქონიონ თბილისის ურბანულ სივრცეებზე.”**

-პროექტში მონაწილეობას იღებენ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის და მაგისტრატურის სტუდენტები. სტუდენტების შერჩევა მოხდა რამოდენიმე ეტაპის გავლით. რეზუმეების, სამოტივაციო წერილისა და ბოლოს, პირადი გასაუბრების საფუძველზე; შეირჩა 30 საუკეთესო კანდიდატი თავიანთი გამოცდილების, თვისებების და უნარების გათვალისწინებით; ვორქშოპში მონაწილეობით, სტუდენტები შეიძენენ გამოცდილებას, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სივრცეების ანალიზს და სოციალურ კვლევაზე დაყრდნობით მოსახლეობასთან მჭიდრო მუშაობით და მათი აზრის გათვალისწინებით, ქალაქში არსებული პრობლემების გამოვლენას და შემდგომ მათი გაუმჯობესების სცენარების შეთავაზებას.https://apu.ge/ka/news/studentebi-proektis-farglebshi-shedzleben-realur-droshi-pozitiuri-zegavlena-ikonion-tbilisis-urbanul-sivrtseebze/98

***სამაგისტრო საკვლაიფიკაციო ნაშრომების დაცვები***

2018 წლის 16, 18, 19 და 20 ივლის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მიმდინარეობდა მაგისტრანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების დაცვები.









***კონკურსი: ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავება ქ. რუსთავის მაგალითზე.***



2018 წლის 23 ივლისს რუსთავში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, ახალი სტუდენტური კონკურსის მოწყობასთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები: ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის წარმომადგენლები, რუსთავის მერი და მერიის თანამშრომლები, გერმანელი და ქართველი ურბანისტები და არქიტექტორები, ქართულ-გერმანული ბიზნესის წარმომადგენლები და არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები. შეხვედრის ფორმატში შემუშავდა კონკურსის მიზანი და მხარეებს შორის ურთიერთ თანამშრომლობის გეგმა. დაგეგმილი კონკურსი ითვალისწინებს ძველი და ახალი რუსთავის კავშირის ქალაქგეგმარებით ანალიზს, ამ კვეთაზე არსებული საზოგადოებრივი სივრცის განახლებას, არსებული მოცულობის რეკონსტრუქციასა და ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავებას.

23th July, Rustavi, Georgia

MEETING PROTOCOL

**Brief overview:**
Meeting was dedicated to construct and organize workshop and 6 month activity for students competition. During the meeting has been selected vision and aim of the project and also action plan for future cooperation.
**GTU will announce** - Alternative course(without credits) Preparation period of the project is 1 semester.
**Selected space:** – Pyramid surrounding area – Kostava Ave. Rustavi, Georgia. Connecting new Rustavi to old Rustavi. Giving the space function: in order to concentrate youth from Tbilisi. Creating hub for working space and innovations.
**Members of Jury:**

- Dr. Jorg Heiler GEOBAY)
- Karheinz Beer (GEOBAY)
- Jakob Oberpriller  (GEOBAY)
- Mamed Mamedov (Rustavi City Hall)
- George Gogoladze (DBF)

- Nikoloz Lekveishvili ((NINCLP) “Engineering Idea”)

| Action Plan |
|---|
| **ASAP-** providing new masterplan from Rustavi City Hall ( Responsible: Mamed Mamedov)<br><br>**30th of July** – Bullet points from GTU about the content of the competition.(Nino imnadze, Nino Chachava, ana bibilashvili) |
| **8th of August –** Comments from German side.( Karlheinz Beer, Dr. Jörg Heiler, Jakob Oberpriller) |
| **1st – 23rd of September –** Preparing task for students and advertising should be ready for social networking, posters.(Ana Bibilashvili, Mamuka Baratashvili) |
| **1st of October – Kick off meeting.** Workshop for students.( Nino Imnadze, Ana Bibilashvili, Nikoloz Lekveishvili, Georgi Gogoladze) |
| **1 – 10 October –** Excursion for students in Rustavi to visit Pyramid surrounding area, Organized and assisted by GTU and Rustavi City Hall.( Mamed Mamedov) |
| **October / November –**. The second visit of GEOBAY in order to supervise students' work on the project.( Karlheinz Beer, Dr. Jörg Heiler, Jakob Oberpriller, Georgi Gogoladze, Ana Bibilashvili) |
| **February –** Project ending, discovering the winner.( Karlheinz Beer, Dr. Jörg Heiler, Jakob Oberpriller, Georgi Gogoladze, Nikoloz Lekveishvili, representative Rustavi city Hall) |

Defined prizes for the winner: The winner will have an opportunity to have 6 month internship in Bavaria and other encouraging prizes.

***გამოყენებითი მეცნიერებების ჟადეს უნივერსიტეტის პროფესორის ტომას ლუჰმანის ლექცია: „ჟადეს უნივერსიტეტის გამოცდილება ლაზერული სკანირების მეთოდოლოგიის განვითარებაში“***

სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტსა და ააიპ ინჟინრულ აზრს ა.წ. 1-7 სექტემბერს ეწვევა გამოყენებითი მეცნიერებების ჟადეს უნივერსიტეტის, გერმანია პროფესორი ტომას ლუჰმანი. ამ პერიოდის განმავლობაში დაგეგმილი აქვს ქართული ძეგლების - თბილისში მეტეხისა და სიონის ეკლესიების სკანირება და ციფრული ანალიზი.

ა.წ. 6 სექტემბერს ააიპ ინჟინრული აზრის ოფისში 18:30 სთ-ზე ის გააკეთებს პრეზენტაციას თემაზე - „ჟადეს უნივერსიტეტის გამოცდილება ლაზერული სკანირების მეთოდოლოგიის განვითარებაში“

***გარაჟი - პოტენციური საჯარო სივრცე***

2018 წლის 7 სექტემბერს გამოვიდა ჯგუფი ურბანული ექსპერიმენტების და კერძო უმაღლესი სასწავლებელის ასოციაციის მიერ 2018 წლის მაისი-ივნისში განხორციელებული ვორკშოპის "გარაჟი - პოტენციური საჯარო სივრცე" დასკვნითი პროექტების შემაჯამებელი

ბუკლეტი. ვორქშოფში მონაწილეობას ღებულობდნენ სტუ-ს არქიტექტური, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები.
https://issuu.com/urbanexperimentsgtoup/docs/________

*სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარების საზაფხულო ვორკშოპი პარიზში*

2018 წლის 5 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა უკვე ტრადიციული სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარების საზაფხულო ვორკშოპი (პარიზის რეგიონი, საფრანგეთი). სერჟი-პონტუაზის ვორკშოპები იმართება 1982 წლიდან და ყოველი სესია გარკვეულ თემას ეძღვნება. სესიის მსვლელობისას საერთაშორისო სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფები ერთი თვის მანძილზე ეცნობიან სხვადასხვა საინტერესო ადგილებს, ამუშავებენ წინადადებებს და სესიის ბოლოს წარადგენენ პროექტს. წლევანდელი სესიის თემა იყო „ცხოვრება მეტროპოლიტენის არეალში".

ჩვენი ფაკულტეტი, სახელოსნოს დაარსების დღიდან თითქმის ყოველ წელს აგზავნის სტუდენტების პროექტებს საფრანგეთში, ვორკშოპში მონაწილეობის მისაღებად. წელს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის წარმომადგენელი იყო მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი გვანცა ცქიფურიშვილი. სესიაში მონაწილეობის მისაღებად მან გაიარა კონკურსი, რისთვისაც ვორკშოპზე წინასწარ გააგზავნა დამუშავებული თემა თბილისი-რუსთავის ურბანულ-რურარული კავშირების შესახებ. (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. დ. ბოსტანაშვილი).







გვანცამ ერთი თვის მანძილზე იმუშავა ხუთი სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფში, რომელთა შორის იყვნენ არქიტექტორი, ლანდშაფტის დიზაინერი და ურბანული სოციოლოგი. დანარჩენ სამ ჯგუფთან ერთად, საკუთარი შემუშავებული პროექტი „დაკავშირებულობა და მრავალფეროვნება“ (Connectivity and Diversity) წარადგინა ფართე აუდიტორიის (მათ შორის 30 კაციანი ჟიურის) წინაშე, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც







სპეციალისტები ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ რეალური ბერკეტები სტუდენტების მიერ შემოტავაზებული იდეები გამოიყენონ რეგიონის განვითარების ხედვაში.ამ პროექტის მიხედვით, პარიზის რეგიონიდან, შეირჩა 6 ძირითადი ტერიტორია, რომელთაგან პრეზენტაციაზე დეტალურად 2 იქნა განხილული - ქ.პარიზის სენ დენის რაიონი და ქ. ვენდომი, მათი განსხვავებული ხასიათისა და პრობლემატიკის გამო. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი ხასიათისა და რესურსის აღმოჩენა, წინ წამოწევა და მათი გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება ამა თუ იმ არეალზე, რაც ადამიანების, სამეზობლოების, ქალაქებისა და რეგიონების უკეთეს კავშირს და რესურსების გაზიარებას შეუწყობს ხელს. გუნდის მთავარი კონცეფცია სწორედ ამ აქტივობებს ე.წ. „მარცვლებს“ ეყრდნობოდა, რომელიც მომავალში ტყედ იქცევა და უფრო დიდ მასშტაბებზე იქონიებს გავლენას; კონცეფციის გასამყარებლად მოყვანილი იყო სხვადასხვა ქვეყნების ადგილობრივი მაგალითები, მათ შორის ფესტივალები ინდოეთიდან და ძველი ფაბრიკა-ქარხნების ადაპტაციის მაგალითები საქართველოდან. საბოლოოდ პროექტმა სხვა სამ წინადადებასთან ერთად დიდი მოწონება დაიმსახურა ჟიურის მხრიდან. გარდა ამისა, მონაწილეებმა გაიცნეს პარიზის რეგიონის მრავალი საინტერესო ადგილი და ერთმანეთს გაუზიარეს კულტურული გამოცდილებები. ატელიეს ყოველწლიური ვორკშოპები იმართება სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში და აფრიკის კონტინენტზე.

***2018 01 ოქტომბერს, ჩატარდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სტუდენტურ კონკურსსა და ექსპერიმენტულ კურსში მონაწილეობის მსურველ სტუდენტებთან.***

შეხვედრის ფარგლებში არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა ქალბატონმა ნინო იმნაძემ და პროექტის ორგანიზატორმა ანა ბიბილაშვილმა სტუდენტებს გააცნო ზოგადი ინფორმაცია კურსის შესახებ, კურსის ამოცანები, მიზნები და გეგმები. ასევე ინფორმაცია საკონკურსო პროექტისა და შესარჩევი კლაუზურის თემის ირგვლივ.

 

დაიგეგმა შესარჩევი კლაუზურის ჩატარების დრო: 2018 წლის 05 ოქტომბერი, 11:00 საათი, კლაუზურის ხანგრძლივობა: 5 საათი, თემა: "საზოგადოებრივი სივრცე, როგორც კომუნიკაცია".

---

**პირველი საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია: „მწვანე არქიტექტურა და მშენებლობა, როგორც ინტეგრირებული აზროვნების პროცესი“.**




2018 წლის 3 ოქტომბერს არქიტექტურის საერთაშორის კვირეულის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გ. ნიკოლაძის სახელობის დარბაზში არქიტექტურის საერტაშორისო კვირეულის ფარგლებში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: **„მწვანე არქიტექტურა და მშენებლობა, როგორც ინტეგრირებული აზროვნების პროცესი“.**

**სლოგანი: „მწვანე არქიტექტურა მდგრადი მომავალი“**

**კონფერენციის ორგანიზატორები:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი;
2. შპს ახალი ტექნოლოგიების ცენტრი;
3. საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.
4. ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემების შემსწავლელი სასწავლო სამეცნიერო ცენტრი;
5. არქიტექტურული განათლების ხელშემწყობი და სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ცენტრი;

კონფერენციის მიზანი იყო მწვანე არქიტექტურისა და საინჟინრო–სამშენებლო ტექნოლოგიების უახლესი ტენდენციებისა და მათი დანერგვის ვექტორების განსაზღვრა არქიტექტურულ–შემოქმედებით, საინჟინრო–სამშენებლო და სასწავლო–აკადემიურ სივრცეში.

ამოცანა: არქიტექტურულ–სამშენებლო დარგის სპეციალისტების, სტუდენტების, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლების მოღვაწეობის ხელშეწყობას მწვანე არქიტექტურის განვითარების კუთხით, რაც თავის მხრივ გაზრდის ანტროპოგენული სივრცის ხარისხს და შეამცირებს ან აღმოფხვრის უარყოფით გავლენას ბუნებრივ გარემოზე.

კონფერენციამ ერთი დღე იმუშავა. მოსმენილი იყო, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი სპეციალისტების გამოსვლები. მოსმენილი იყო 14 მოხსენება. მომხსენებლებმა ისაუბრეს მწვანე მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე, წამოჭრეს რიგი პრობლემები და შემოგვთავაზეს მათი გადაწყვეტის გზები. მომხსენებლებმა ისაუბრეს იმ რეალობებსა და გამოწვევებზე რომელიც დღევანდელ საქართველოში მწვანე მშენებლობაში არსებობს. განიხილეს მდგრადი დიზაინის ფილოსოფიური საწყისები, მისი ევოლუცია ენერგიისა და ბუნებრივი რესურსებისადმი

ხარჯთეფექტური მიდგომები. უცხოელმა სპეციალისტებმა ისაუბრეს მწვანე კლასტერების მუშაობის პრინციპებზე და მათ როლზე ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების საქმეში ლუბლიანას მაგალითზე. განიხილეს ინოვაციური, მწვანე მშენებლობის, კლასტერის შექმნის იდეა როგორც საქართველოს შენობათა სექტორის სწორი განვითარების ეფექტური ხერხი. მწვანე საკონსულტაციო აპლიკაციის მუშაობის პრინციპები და მისი ქართული ვერსიის შექმნის შესაძლებლობა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მწვანე არქიტექტურის პრინციპებით აგებული და დაპროექტებული პირველი შენობა–ნაგებობები თბილისში. ასევე წარმოდგენილი იყო თბილისის ახლად აშენებული რამოდენიმე უბანი, რომლებიც არღვევენ ქალაქის ეკოსისტემას და პრობლემატურია.

კონფერენციის მეორე ნაწილში გაიმართა დისკუსია და შედგა რეზოლუციის პროექტი. გამოიკვეთა რიგი პრობლემური საკითხები. აღინიშნა, რომ არსებობს ცოდნის დეფიციტი, არასაკმარისადაა განვითარებული ეკოლოგიური განათლება, საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული დიზაინის გაძლიერება, გამოიკვეთა დარგობრივი მედია საშუალებების არსებობის აუცილებლობა, ამასთან დაკავშირებით უნდა განვითარდეს მწვანე ჟურნალისტიკა, ასევე არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა, არასრულფასოვანია მენეჯმენტი, აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, საზოგადოების მეტი ჩართულობა, სერთიფიცირების საკითხების დახვეწა და სხვა.

ბოლოს აღინიშნა, რომ საფუძველი ჩაეყარა ისეთ მნიშვნელოვან კონფერენციას რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება მწვანე არქიტექტურის, მშენებლობის და ეკონომიკის განვითარებას საქართველოში.

**ჩატარების ადგილი.**

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას № 70 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა

**ჩატარების თარიღი**

2018 წლის 3 ოქტომბერი 10 საათი.

მონაწილეთა რეგისტრაცია: 9.30 სთ.





## *კონკურსი–კლაუზურა თემაზე: საზოგადოებრივი სივრცე, როგორც კომუნიკაცია*

2018 წლის 5 ოქტომბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა კლაუზურა–კონკურსი თემაზე: საზოგადოებრივი სივრცე, როგორც კომუნიკაცია




კლაუზურის მიზანი იყო იმ სტუდენტთა გამოვლენა, რომლებიც მონაწილეობას მიირებენ ექსპერიმენტულ სასწავლო კურსს, რომელიც ძირითადი საგანმანათლებლო

პროგრამის პარალელურად ამოქმედდა ფაკულტეტზე 9 ოქტომბრიდან. ექსპერიმენული კურსის ფარგლებში სტუდენტები იმუშავებენ რეალურ საპროექტო დავალებაზე.






*2018 წლის 8, 9, 10 ოქტომბერს მიმდინარეობდა კლაუზურა–კონკურსის ნამუშევრების განხილვა.*




თვითოეულმა სტუდენტმა კომისიის წინაშე გააკეთა საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაცია. ნამუსევრები კომისიის მიერ პროექტები განხილული იყო ოთხი მიმართულებით: კონცეპტუალური, რეალური, გრაფიკულად მაღალ დონეზე შესრულებული, მაგრამ ნაკლებად პასუხობს დავალებას და ნამუშევრები, რომლებიც არ შეესაბამება დავალებას. თუმცა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პრეზენტაციის წარმოდგენის უნარს, რამაც საბოლოოდ გადამწყვეტი როლი შეასრულა ნამუშევრების შერჩევისას. კომისიის გააწყვეტილებით ყველა სტუდენტი ჩართვება ექსპერიმენტულ სასწავლო კურსში.

***ორშაბათს, 2018 წლის 22 ოქტომბერს, სტუდენტური კონკურსის ფარგლებში დაგეგმილია ვიზიტი და ვორქშოფი ქ. რუსთავში, ქ. რუსთავის მერიის მხარდაჭერით.***

## *შეხვედრა თბილისის არქიტექტურული ბიენალეს დამფუძნებლებთან*

2018 წლის 17 ოქტომბერს, 14 საათზე სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში შედგება შეხვედრა თბილისის არქიტექტურული ბიენალეს დამფუძნებლებთან.
თბილისის არქიტექტურული ბიენალე დამფუძნებლები არიან ახალგაზრდა არქიტექტორები ოთარ (ოთო) ნემსაძე, გიგი შუკაკიძე და თინათინ გურგენიძე.



ოთარ (ოთო) ნემსაძე თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ერთ ერთი თანადამფუძნებელია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხის შემდეგ, ის როტერდამის უნივერსიტეტის ურბანული მენეჯმენტისა და განვითარების მაგისტრი გახდა. ამჟამად, ის მუშაობს სადოქტორო ნამუშევარზე, თემით ზონირება და მიწის კონფლიქტები.

Otar (Oto) Nemsadze is a co-founder of Tbilisi Architecture Biennial. Oto holds an M. Arch degree from Georgian Technical University and M.Sc. in Urban Management and Development from the Institute of Housing and Urban Development Studies, Erasmus University Rotterdam. At the same time, he is completing his PhD at Tbilisi State University focusing on Zoning Regulation and Land Based Conflicts.



გიგი შუკაკიძე თბილისის არქიტექტურის ბიენალეს თანადამფუძნებელია. დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების ფაკულტეტი. ცხოვრობს და საქმიანობს თბილისში. 2013 წელს დააფუძნა არქიტექტურული სახელოსნო Wunderwerk, რომელიც მუშაობს როგორც კომერციული, ასევე ექსპერიმენტულ-ანალიტიკური მიმართულებით. 2016 წლიდან დამოუკიდებელი ექსპერტის ფუნქციას ასრულებს პრემიისთვის Mies Award.

Gigi Shukakidze is a co-founder of Tbilisi Architecture Biennial. He completed his studies at Tbilisi Technical University, Faculty of Architecture and Urban Planning. He lives and works in Tbilisi, where in 2013 opened his own architectural practice Wunderwerk, with a broad range of projects and an experimental-analytic direction. Since 2016 he is an invited independent expert for the Mies Award Prize.

თინათინ გურგენიძე თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ერთ-ერთი თანადამაარსებელია. თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, თინათინმა სწავლა უბრანული დიზაინის განხრით ბარსელონაში განაგრძო. ამჟამად იგი ბერლინში ცხოვრობს და მუშაობს დისერტაციაზე, რომელშიც თბილისში პოსტ საბჭოთა ურბანულ და არქიტექტურულ ცვლილებებს განიხილავს.



Tinatin Gurgenidze is one of the four co-founders of TAB. Having studied architecture and urban design in Tbilisi and Barcelona, Tinatin is currently based in Berlin, where she is completing her PhD thesis on the transformation of post-Soviet lived and built spaces in Tbilisi.

## არქიტექტურული დიალოგი გერმანელ ახალგაზრდა არქიტექტორებსა და ქართველ სტუდენტებს შორის







2018 წლის 22 ოქტომბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში შედგა შეხვედრა გერმანელ არქიტექტორებთან კიოლნიდან: მარიტა რიედელ, დორის ფუნქჰაუზერ, ტატიანა დეტერინგ და ბირგიტ დ. მეიერ–ვაიდმანნ, კიოლნის და მაინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გერჰარდ კალჰოფერ და მისი ყოფილი სტუდენტები, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტურულ სკოლებში და ამავე დროს მუსაობენ ტავიანთ პროფესორტან ერთად არქიტექტურულ ბიუროში: დავიდ ებელი კიოლნი, არქიტექტორი და ასევე მარსელის ხელოვნების ბაკალავრი; ტობიეს შეედერი არქიტექტორი და მაინსის ხელოვნების მაგისტრი; იოჰანეს ჰაუკე ლაიპციგი–არქიტექტორი, მირა ჰეინზე – კიოლნი არქიტექტორი, დირკ ზალოგა დუსელდორფი არქიტექტორი.

შეხვედრაზე მაინსის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა სტუდენტებს გაუზიარა ის გამოცდილება და პროექტირების სწავლების მეთოდიკა, რომელიც ხორციელდება მაინსის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. სწავლების მეთოდიკა დაფუძნებულია რეალური პროეტების შესრულებაზე, მიზანი არის არა არქიტექტურული სიმბოლოს დაპროექტება, არამედ რეალური დაკვეთით, კლიენტის მოთხოვნის გათვალისწინებით ისეთი პროექტის შესრულება, რომელიც შემდგომ განხორციელდება დამკვეთის მიერ. ასეთი პროეტები მცირე მოცულობისაა თუმცა მათი გადაწყვეტა ითხოვს ინოვაციურ მიდგომას. მათ შორის ასრულებენ პროექტებს როგორიცაა მიშენება, დაშენება, რესტაცრაცია, ახალის ინტეგრაცია ძველთან და სხვა. ეს ის პოექტებია, რომელიც პრაქტიკულად გამოყენებადია. პროექტირებისას დიდი დრო ეთმობა კონცეფციის შემუშავებას, რომელსაც უთმობენ თითქმის ნახევარ სემესტრს. აზრი ასეთი მიდგომის მდგომარეობს იმაში, რომ დამპროექტებელი ახალოს იყოს ადამიანტან, ადამიანზე მორგებული იყოს და შეუქმნას მას კომფორტი, ხასიათდებოდეს ბუნებრივობით. ე.წ. სახალხო არქიტექტურა და არა არქიტექტურის მიმართულების განმსაზღვრავი. ანუ ადამიანზე ორიენტირებული არქიტექტურა წარმოადგენს სწავლების ძირითად პრინციპს. სწორედ ამაში მდგომარეობს სწავლების მეთოდის ორიგინალობა. სასწავლო კურსი განიხილება, როგორც კრეატიული არქიტექტურა. ლექციისს პროფესორმა განიხილა რამოდენიმე მაგალითი. შემდგომ გერმანელმა ახალგაზრდა არქიტექტორებმა ჩაუტარეს მასტერ კლასი ქართველ სტუდენტებს და გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება თუ როგორ და რა მეთოდებით წყვეტდენ სხვადასხვა არქიტექტურულ პრობლემას. განიხილეს კონკრეტული მაგალითები როგორიცაა „წითელი ბუნკერი“, მცირე ზომის საზოგადოებრივი სივრცე ე.წ. მოძრაობის სივრცე, ინტერაქტიული პროექტირება და სხვა.



ბოლოს სტუმრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტი. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა დავით ბოსტანაშვილის „არქიტექტურული პოეტიკის“ სტუდიამ, სადაც სტუმრებმა ყველაზე ნატლად დაინახეს თუ რა პოტენციალს ფლობენ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები.

## საჯარო ლექცია: „საერთაშორისო კომპანია ჰენკელი და თანამედროვე სამშენებლო მასალები“



2018 წლის 26 ოქტომბერს 405 ც აუდიტორიაში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „კომპანია ჰენკელი და თანამედროვე სამშენებლო მასალები“. ლექციას გაუძღვა საერთაშორისო კომპანია „ჰენკელის“ ტექნიკური დახმარების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სპეციალისტი გიორგი ზუბიაშვილი. საერთაშორისო კომპანია Henkel–ი, რომელიც 150 წლის წინ დაარსდა და ფუნქციონირებს მსოფლიოში უკვე 2 წელზე მეტია, რაც დაფუძნდა საქართველოს და კავკასიის რეგიონში და აწარმოებს სამშენებლო მასალებს და ამარებს.

კომპანია მოიცავს სამშენებლო მასალათა ფართო სპექტრს, რომელიც გამოიყენება მშენებლობის ყველა ეტაპზე, დაწყებული ფუნდამენტიდან, დამთავრებული შიდა რემონტით. Henkel - ის პოლიტიკას წარმოადგენს აწარმოოს და ბაზარზე დაამკვიდროს ხარისხიანი და პროფესიული მიდგომა, მშენებლობის დაგეგმვიდან მის დასრულებამდე. მომხსენებელმა ისაუბრა იმ სამშენებლო მასალებზე, რომელსაც აწარმოებს კომპანია. მასალების თავისებურებებზე და მშენებლობაში მათი სწორედ გამოყენების აუცილებლობაზე. მასალას წარმოადგენს კერამზიტი, რომელსაც გააჩნია გამოყენების ფართო სპექტრი (ჰიდროიზოლაცია, თვითსწორებადი წებოცემენტი) დაწყებული საძირკვლიდან დამთავრებული საფასადე სისტემებით.




*საჯარო ლექცია: თანამედროვე სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები*



2018 წლის 29 ოქტომბერს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაქულტეტზე ექსპერიმენტული კურსის ფარგლებში შპს „ბაზალტ ფაიბერს“–ის დირექტორმა გიორგი გოგოლაძემ ჩატარა საჯარო ლექცია თემაზე: თანამედროვე სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები. ლექციაზე განხილული იყო შპს „ბაზალტ ფაიბერის“ მიერ წარმოებული ინოვაციური სამშენებლო მასალა ბაზალტის ქვისგან სპეციალური ტექნოლოგიებით მიღებული ეკოლოგიურად სუფთა მასალა – ტექსტილის ბოჭკო ან ბაზალტის ბოჭკო, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში სხვადასხვა დანიშნულებით, მაგალითად ბეტონის არმირებისთვის, რაც თითქმის ნახევარჯერ ამცირებს ბეტონის მასას, ზრდის მის მდგრადობას და ელასტიურობას. მომხსენებელმა ისაუბრა მასალის მიღების ტექნოლოგიაზე, მის შესაძლებლობებზე, მნიშვნელობაზე მშენებლობაში, გამოყენების თავისებურებებზე და გავლენებზე სხვადასხვა არქიტექტურული ობიექტების მაგალითებზე, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.



გიორგი გოგოლაძე გახლავთ მეწარმე და ექსპერიმენტული კურსისი თანადამფუძნებელი.

*საკონკურსო პროექტის განხილვა გერმანელ ექსპერტებთან ერთად.*





2018 წლის 29 ოქტომბერს ექპერიმენტული კურსის თანახელმძღვანელები გერმანელი არქიტექტორები GEOBAY - ბავარიის არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი არქიტექტორი კარლჰეინზ ბეერ; არქიტექტორი, დოქტორი იორგ ჰეილერი, არქიტექტორი იაკობ ობერპილერი, შ.პ.ს. „ბაზალტ ფაიბერის“ დირექტორი გიორგი გოგოლაძე ესტუმრნენ ფაკულტეტს. მათი ვიზიტის მიზანი იყო საკონკურსო პროექტის „ახალი საზოგადოებრივი სივრცე (Urban Hub) ქ. რუსთავისთვის“ სტუდენტების მიერ შემუშავებული კონცეფციების განხილვა. პროექტების განხილვის შემდეგ გერმანელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს მასტერ კლასი საზოგადოებრივი სივრცეების დაგეგმარების თავისებურებებზე, კონკრეტულ პროეტზე თვითოეულ სტუდენტს გაუწიეს კონსულტაციები. არქიტექტორმა იაკობ ჰუბერმა სტუდენტებს ჩაუტარა ლექცია თემაზე ინოვაციური მდგრადი რევიტალიზაცია და კონტექსტი. ლექციის ბოლოს გაიმართა დისკუსია გერმანელ არქიტექტორებსა და ქართველ სტუდენტებს შორის. დიალოგი ძირითადათ წარიმართა საკონკურსო პროექტის ფარგლებში და შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა რას ნიშნავს საზოგადოებრივი სივრცე საქართველოსთვის? რამდენად კომერციული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცე თუ იგი უნდა



მოიაზრებოდეს სივრცედ ყველასთვის. ასევე გარკვეული რეკომენდაციები გაეწიათ სტუდენტებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ახალი და ძველი ქალაქის დაკავშირების ხერხები, ქუჩათა ქსელის მოწესრიგება, რას ნიშნავს არქიტექტურული ფორმა პირამიდა და მისი როლი ქალაქის სივრცულ სტრუქტურაში, ობიექტი, როგორც სიმბოლო თუ ობიექტი, როგორც სოციალური ადგილი და საჭიროებს კავშირს საზოგადოებრივ სივრცესთან, როკორც კომუნიკაცია კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან, საზოგადოებრივი სივრცის ადგილი სატრანსპორტო გზის

მიმართებაში, სხვა საზოგადოებრივ სივრცესთან და სხვა.

***ინტერდისციპლინარული საერთაშორისო ვორქშოფი „საგამოფენო პავილიონი“ გონიო–აფსაროსის არქეოლოგიურ–არქიტექტურულ მუზეუმ–ნაკრძალში.***



2018 წლის 25 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ირაკლი ზუკაკიშვილმა, გიორგი კეპულაძემ, ინვერ შვანგირაძემ და გიორგი ჩაბალუხამ მონაწილეობა მიიღეს ინტერდისციპლინარულ საერთაშორისო საკონკურსო პროექტის „საგამოფენო პავილიონი“ გონიო–აფსაროსის



არქეოლოგიურ–არქიტექტურულ მუზეუმ–ნაკრძალში“ პირველ ეტაპში. პირველ ეტაპზე გონიოში ჩატარდა ვორქშოფი. საერთაშორისო პროექტში მონაწილეობას ღებულობენ პოლონეთის მხრიდან ქალაქ გდანსკის სამხატვრო აკადემიის და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის სტუდენტები. საქართველოს მხრიდან სტუ–ს არქიტქტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები. პირველ ეტაპზე შედგა საერთაშორისო ჯგუფები, რომელიც დაკომპლექტდა როგორც ქართველი ისე პოლონელი სტუდენტებით.

ვორქშოფის მიზანი იყო პირველირიგში საპროექტო დავალების დაგეგმვა. საპროექტო ადგილის შესწავლა, კვლევა, ვიზუალური დათვალიერება, ფოტო ფიქსაცია, ჩანახატების გაკეთება და პირველადი კონცეფციის შემუშავება. ასევე ამ ადგილის რესტავრაცია–რეკონსტრუქციის თავისებურების გაცნობა.

29 ოქტომბერს ფაკულტეტზე შედგა გონიოში, ვორქშოფზე ჩატარებული სამუშაოს განხილვა და განისაზღვრა მომავალი მუშაობის სპეციფიკა. სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტიდან სტუდენტებს კონსულტაციებს გაუწევენ პროფესორები ნინო იმნაძე და დავით ბოსტანაშვილი. პროექტის მეორე ეტაპი გულისხმობს კონცეფციის შემუშავებას და აზრთა გაზიარებას ონლაინ რეჟიმში. საბოლოოდ პროექტი უნდა დასრულდეს თებერვალს.





### *საჯარო ლექცია „Architects of invention"(AI) -ის დამფუძნებელთან ნიკა ჯაფარიძესთან*



2018 წლის 31 ოქტომბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე 405 ც აუდიტორიაში ჩატარდა საჯარო ლექცია არქიტექტორ ნიკა ჯაფარიძესთან, რომელიც მოღვაწეობს ლონდინში და გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა სტუდია OMA ჰოლანდიელ არქიტექტორთან რემ კოალჰასთან ერთად. იგი არის საერთაშორისო კომპანიის „Architects of invention" -ის დამფუძნებლი და არაერთი ჯილდოს მფლობელი.

ლექციაზე ნიკა ჯაფარიძემ ისაუბრა არქიტექტორ რემ კოალჰასის დაპროექტების მეთოდზე ორი ობიექტის მაგალითზე, რომელის ავტორი თავად არის: საცხოვრებელი სახლი ლისზე და საცხოვრებელი სახლი ბირმიგემში, რომლის ავტორი თავად არის. ასევე ისაუბრა თბილისში აშენებული პროკურატურის არქიტექტურაზე, იდეაზე, საწყის კონცეფციაზე და კონსტრუქციულ გადაწყვეტებზე.



ლექციის ბოლოს გაიმართა დიალოგი სტუდენტებსა და არქიტექტორს შორის.

მის მიერ შესრულებული ობიექტები შეგიძლიათ ნახოთ: www.architectsofinvention.com

### *სტუდენტური კონკურსი: “art გაჩერება”*

2018 წლის 7 ნოემბერი



ექსპერიმენტული კურსის ფარგლებში ცხადდება კონკურსი: “art გაჩერება”

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი პროექტი მოიცავს საკონკურსო ციკლს, რომლის მიზანია ქ.რუსთავის ტერიტორიაზე საჯარო სივრცეების და ურბანული გარემოს მეტად გაკეთილშობილა, ადამიანისა და გარემოს ურთიერთკეთილგანწყობის ხარისხის ამაღლება. ხოლო კონკურსის “art გაჩერება”-ს პირველი ტალღა მოიაზრებს ქალაქის ძველ ნაწილში, ცენტრალურ გამზირზე (კოსტავას გამზირი) ოთხ ლოკაციაზე გაჩერების ფარდულის და მისი მიმდებარე სივრცის ორგანიზებას. კონკურსი ღიაა არქიტექტურის, ლანდშაფტისა და ურბანული დიზაინის სპეციალობის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის.

1. პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 25 ნოემბერი
2. წარმოდგენილი პროექტებიდან შეირჩევა 4 პროექტი, რომელსაც შეარჩევს სპეციალური კომისია, ამასთან კომისია უფლებამოსილია არ შეარჩიოს არცერთი პროექტი.
3. პრემია გამარჯვებულ პროექტზე შეადგენს 1000 ლარს

დამატებითი მასალის ჩამოსატვირთად
https://wetransfer.com/downloads/0d616d8ec001a3da79681128c2412eca20181107092841/a83eee?fbclid=IwAR3WbXZlV_ehfgFbKywWhZ2yqpxpBDhTapSXOZFN25JrRSs9mLXqVxD6AeE

### *სტუდენტური კონკურსი*

2018 წლის 19 ნოემბერი.



სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს დერეფნის ინტერიერის დიზაინის კონკურსს სტუდენტებისთვის!

კონკურსის მიზანია სტუდენტების ჩართულობით ცენტრის დერეფნის ინტერიერიერის დიზაინის განახლება.

კონკურსში მონაწილე პირმა უნდა შეიმუშავოს ცენტრის ინტერიერის დიზაინის კონცეფცია და წარმოადგინოს პროექტი. წარმოდგენილი იდეა უნდა შეესაბამებოდეს ცენტრის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და მიზნებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://eqe.ge/geo/static/55/mission-and-vision

### *საჯარო ლექცია თემაზე: „Contemporary Workspaces”*



2018 წლის 19 ნოემბერს 405 ც. აუდიტორიაში 19 საათზე ექსპერიმენტული კურსის ფარგლებში არქიტექტორ ნიკოლოზ ლეკვეიშვილმა ჩაატარდა საჯრო ლექცია თემაზე: „Contemporary Workspaces”. ლექციის დამთვრების შემდეგ გაიმართა დისკუსია ახალგაზრდა არქიტეტორსა და სტუდენტებს შორის.

*გერმანულ–ქართული ერთობლივი სასწავლო ექსპერიმენტული კურსის ფარგლებში ვიზიტი საპროექტო ტერიტორიაზე ქ. რუსთავში*

2018 წლის 22 ნოემბერს, სტუდენტური კონკურსისა და მოსამზადებელი ექსპერიმეტული კურსის მიმდინარეობის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ქალაქ რუსთავში, ქ. რუსთავის მერიისა და სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის ერთობლივი ორგანიზებით.

კურსის სტუდენტებს შეხვდნენ ქალაქ. რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა, მერის მოადგილე ბესიკ ტოგონიძე, არქიტექტურის სამსახურის უფროსი, ეკა პაპუაშვილი, რომლებმაც სტუდენტებს გააცნეს რუსთავის გამოწვევები და სამომავლო გეგმები. არქიტექტურის სამსახურის სპეციალისმა სტუდენტებს გააცნო რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. წარადგინა სტრატეგიული საპროექტო არეალები, რომლებიც საჭიროებს რეკონსტრუქციასა და განახლებას, ცოცხალი საზოგადოებრივი სივრცეების შექმნისათვის. მოეწყო ექსკურსია ქალაქის ირგვლივ. ჯგუფმა მოინახულა აღნიშნული ტერიტორიები, დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობები, მათ შორის რუსთავის მუზუმი, ექსკურსიას უძღვებოდა უშუალოდ მერის მოადგილე ბესიკ ტოგონიძე, რომელმაც მაქსიმალურად სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნა სტუდენტებს ქალაქ რუსთავის პოტენციალსა და მის წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

სტუდენტებმა დაათვალიერეს უშუალოდ საკონკურსო ტერიტორიაც. ეკსურსიის დასასრულს მოეწყო შესვენება კულტურის სახლის სივრცეში. დღის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა მერიის შენობაში, აზრთა გაცვლა და სამომავლო სამუშაო ფორმატის დაგეგმვა. მერიის თხოვნით სტუდენტებს დაევალათ მოამზადონთ თავიანთი სტრატეგიული ხედვები ნანახი ობიექტების სამომავლო განვითარებისთვის ნაბიჯების გადასადგმელად.

შეხვედრამ სტუდენტებს მისცათ შესაძლებლობა სხვა კუთხით დაენახათ თვითონ ქალაქი რუსთავი და მისი ინდივიდუალური ხასიათი, მოსახლეობა, ქუჩები, შენობები და არქიტექტურა. ასევე პირადად შეეფასებინათ რუსთავის წინაშე არსებული გამოწვევები რათა საკონკურსო პროექტით სწორად უპასუხონ, ტერიტორიის წინაშე დასმულ ამოცანებს.






## სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდნტთა წარმატება

2018 წლის 15, 16, 17, 18 ნოემბერს, ყაზახეთის არქიტექტურულ–სამშენებლო აკადემიის ორგანიზებით მოლდავეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში (ქ.კიშინოვი) გაიმართა ევრაზიის ყოველწლიური VIII არქიტექტურულ–სამშენებლო და დიზაინის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას იღებს 17–ზე მეტი ქვეყანა. მათ შორის იტალია, ლიტვა, ლატვია, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, რუმინეთი, სერბეთი, პოლონეთი და სხვა.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ევრაზიის არქიტექტურული და დიზაინერული სკოლების დამასრულებელი სამაგისტრო ნაშრომების დათვალიერება–კონკურსი. სხვადასხვა ნომინაციებში წარმოდგენილი იყო 900–ზე მეტი პროექტი. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტიდან კონკურსში მონაწილეობა მიიღო 6–მა სამაგისტრო დამასრულებელმა ნამუშევარმა ნომინაცია „არქიტექტურა“. სულ ამ ნომინაციაში საკონკურსოდ წარდგენილი იყო 198 პროექტი. მე–2 და მე–3 ადგილი წილად ხვდათ ჩვენს კურსდამთავრებულებს, ხოლო დანარჩენებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

ეკა ბარბაქაძეს სამაგოსტრო ნაშრომი თემაზე: „ ეკოლოგიის ინსტიტუტი 500 სტუდენტზე ქ. რუსთავში“; ხელმძღვანელი მედეა მელქაძე გადეცა მეორე ხარისხის დიპლომი;







თამარ ქსოვრელი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „ ღვინის სამყარო რაჭაში“ ხელმძღვანელი ნინო იმნაძე გადაეცა მე–3 ხარისხის დიპლომი.







ვერიკო ბაბუციძე სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: არქიტექტურის სკოლა 820 სტუდენტზე ხელმძღვანელი გიული გეგლია გადაეცა სერთიფიკატი







თალიკო  ონიანი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „ფსიქიატრიული კლინიკა და კვლევითი ცენტრი“ ხელმძღვანელი დავით ბოსტანაშვილი გადაეცა სერთიფიკატი;







დავით კომახიძე სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: შ. რუსთაველის სახელობის აეროპორტი ქ. თბილისში ხელმძღვანელი ნინო იმნაძე გადაეცა სერთიფიკატი;







მეგი სომხიშვილი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ქ. თბილისში“ ხელმძღვანელი გია ნადირაძე გადაეცა სერთიფიკატი;







ჩვენი ინსტიტუტიდან ჟიურიში სამუშადო მიწვეული იყო პედაგოგი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი ბესარიონ ტატიშვილი.

2018 წლის 22 ნოემბერს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე სტუდენტებს გადეცათ დიპლომები და სერთიფიკატები და სამახსოვრო საჩუქარი.

***შეხვედრა დეველოპერულ კომპანია DUX-ის წარმომადგენლებთან საკონკურსო პლატფორმის პრეზენტაცია***




2018 წლის 30 ნოემბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე, შედგა შეხვედრა დეველოპერული კომპანია DUX-ის წარმომადგენლებთან, დამფუძნებელი ირაკლი ლომიძე და მარკეტინგის მენეჯერი გვანცა ფანჩულიძე, რომლებმაც გააკეთეს საკონკურსო პლათფორმის პრეზენტაცია. საკონკურსო პლათფორმის მიზანია აღმოაჩინოს ტალანტები და კონკურსის გზით გამოავლინოს ინოვაციური იდეები, ახალი კონცეპტუალური ხედვები, ახალგაზრდა არქიტექტორებს და სტუდენტებს მისცეს შანსი განახორციელონ თავიანთი იდეები სხვადასხვა მიმართულებით: არქიტექტურული პროექტი, ინტერიერის დიზაინი და გარემოს დიზაინი. დეველოპერული კომპანიის მიერ წარმოდგენილი პროექტი სრულიად ახალია. პირველი შემთხვევაა, როდესაც კერძო სექტორი, ასეთი სახით თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებელთან. ბიზნესის მოთხოვნა, რომელიც შეიძლება გაითვალისწინოს არქიტექტორმა. გამარჯვებული პროექტის ავტორს მიეცემა საშუალება კომპეტენტურ პირთან ერთად მონაწილეობა მიიღოს, როგორც პროექტის დამტკიცების და შეთახმების პროცესში ასევე განხორციელების ყველა სტადიაში და თვალი ადევნოს მშენებლობის პროცესს. ამდენად სტუდენტს მიეცემა შანსი ისწავლოს ყველა ის აუცილებელი ეტაპი, რომელიც უნდა გაიაროს არქიტექტურულმა ობიექტმა დაწყებული ესკიზიდან განხორციელებამდე. გამარჯვებული პროექტის ავტორს გადაეცემა პროექტის ღირებულების თანხა კომპანიაში მიღებული წესების შესაბამისად. ამასთანავე დაცული იქნება საავტორო უფლებები შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებით. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შედგა დიალოგი კომპანიის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს შორის საიდან სად შეიძლება წავიდეს არქიტექტურა ფორმის ძიების თვალსაზრისით.





საკონკურსო პროექტების და პირობების ნახვა შესაძლებელია ვებგვერძე: www.dux.ge

შეხვედრას დაესწრნენ ფაკულტეტის პროფესორები და სტუდენტები.

მიმაგრებულ ფაილში იხილეთ კომპანიის საქმიანობა.

**არქიტექტური, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა და პედაგოგთა წარმატება**

არქიტექტურული პრემია 2018



2018 წლის 15 დეკემბერს სასტუმრო „ბილტმორში“ გაიმართა „არქიტექტურული პრემია 2018“ – ის დაჯილდოვება. „არქიტექტურული პრემია 2018“ საქართველოს არქიტექტორტა ასოციაციის და ჟურნალ „სტილის“ მიერ ყოველწლიურად იმართება და მისი მიზანია წლის საუკეთესო პროექტის გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციებში.



ნომინაცია **„სტუდენტური პროექტი“** დაჯილდოვდა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტი დავით კომახიძე. კონკურსზე მის მიერ წარდგენილი იყო სამაგისტრო დამასრულებელი ნაშრომი თემაზე: შ. რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ქ. თბილისში“(ხელმძღვანელი ნ. იმნაძე).



ნომინაცია: რესტავრაცია–რეკონსტრუქცია გაიმარჯვა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგმა ვასილ ქობულიამ პროექტში: მრავალფუნქციური შენობა არსებული ისტორიული შენობის აწევა რეკონსტრუქცია.
მდებარეობა: იალბუზის ქუჩა ქ. თბილისი.
ავტორები:ქობულიები და პარტნიორები.
არქიტექტორ რესტავრატორი ნანა ინწკირველი;
ხელოვნებათმცოდნე: ლალი ანდრონიკაშვილი.



განსაკუთრებული წვლილისთვის არქიტექტურაში ჯილდო გადაეცა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორს, ემირიტუსის საპატიო წოდების მფლობელს ქალბატონ ნანული თევზაძეს.



სხვადსხვა ნომინაციებში (ნომინაცია: საზოგადოებრივი ინტერიერი, რეალიზებული საცხოვრებელი სახლი და საზოგადოებრივი შენობა) ასევე გაიმარჯვეს და გადაეცათ დიპლ
ომები ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს ნინო ჭანტურიას და ლუკა ჩგანავას სტუდია: NS STUDIO

ასევე ნატალია მანჯგალაძეს, თამო მოსიაშვილს და მაკა დავითიძეს სტუდია: SPACE




მეტი ინფორმაციისთვის და პროექტების სანახავად ეწვიეთ ვებგვერძს: www.archiaward.com

**სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“**



2018 წლის 17 დეკემბერს 14 საათზე სტუ–ს ი. ნიკოლაძის სახელობის დარბაზში ჩატარდება სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.

კონფერენცია ეძღვნება საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ხელოვნებათმცოდნობის დოქტორის, საქართველოს საინჟნრო აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის, თბილისის საპატიო მოქალაქის, მეორე მსოფლიო ომის გმირის ირაკლი ციციშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად.

## სამეცნიერო კონფერენცია: „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“

2018 წლის 17 დეკემბერს სტუ–ს გიორგი ნიკოლაძის სახელობის დარბაზში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.

კონფერენცია მიეძღვნა ირაკლი ციციშვილის 100 წლის იუბილეს.

ირაკლი ციციშვილი 1918–2001



ირაკლი ნიკოლოზის–ძე ციციშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კატედრის გამგე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ისტორიისა და ტეორიის კატედრის გამგე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იტალიის ხელოვნების აკადემიის წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს

ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, მეორე მსოფლიო ომის გმირი, ღირსების ორდენის კავალერი.

კონფერენციის პირველი ნაწილი დაეთმო მოგონებებს ირაკლი ციციშვილის შესახებ. სიტყვით გამოვიდნენ მისი ყოფილი სტუდენტები, თანამშრომლები, მეგობრები: გიორგი სალუქვაძე, ვახტანგ დავითაია, გიგია ბათიაშვილი, რევაზ მიშველაძე, მარიკა დიდებულიძე, ნიკოლოზ შავიშვილი, მედეა მელქაძე, ნინო იმნაძე და სხვები.

კონფერენციის მეორე ნაწილში მოსმენილი იქნა სამეცნიერო თემები არქიტექტურის, ხელოვნების და ქალაქგეგმარების საკითხებზე. წამოჭრილი იყო მთელი რიგი პრობლემები, რომელიც ქალაქ თბილისის არქიტექტურის მომავალ განვითარებაზე ახდენს გავლენას და სხვა.




## არქიტექტურული პროექტების გამოფანა

**2018 წლის 17 დეკემბერს** სტუ–ს ადმინისტრაციული კორპუსის ფოიეში გაიხსნა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორის ზურაბ ტიტვინიძის არქიტექტურული პროექტების პერსონალური გამოფენა.
გამოფენა მიეძღვნა ირაკლი ციციშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის თარიღს.






**არქიტექტურული კონკურსი**

2018 წლის 21 დეკემბერი

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბის – SKIA-ს 2019 წლის მორიგი შეჯიბრების ფორმატში, სხვადასხვა თემატიკის მიხედვით აცხადებს სამ დამოუკიდებელ არქიტექტურულ კონკურს;




ინდივიდუალური საცხოვრებელი კოტეჯი მთიან რეგიონში;
ოჯახური ტიპის სასტუმრო სახლი მთიან რეგიონში;
სათემო საზოგადოებრივი ცენტრი მთიან რეგიონში;
დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერძს: http://competition.archinfo.ge/skia-2019/?fbclid=IwAR0pv71giS1K1xpB-MwNYHraHaTmRdROcdswtHyez9SvGcPrkH0MPhnXf9U
განცხადება.pdf
კონკურსის დებულება კოტეჯი.pdf
კონკურსის დებულება სასტუმრო.pdf
კონკურსის დებულება სათემო სახლი.pdf

*საჯარო ლექცია თემაზე: „საქალაქო სატრანსპორტო სისიტემის მიმოხილვა“*

2018 წლის 21 და 28 დეკემბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში 19 საათზე ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „საქალაქო სატრანსპორტო სისიტემის მიმოხილვა“ ვუჩიკის წიგნის: „Transportation for livable cities" მიხედვით. მოხსენება გააკეთეს არქიტექტორმა გიორგი კიღურაძემ და ურბანისტმა პავლე მაისურაძემ.

ლექციაზე განხილული იყო სატრანსპორტო პრობლემები ქალაქში, თუ როგორ უნდა ითვალისწინებდეს ქალაქის კონცეფცია ტრანსპორტს. ლექციის მსვლელობისას განხილული იყო სხვადასხვა ქალაქები. ნაჩვენები იყო თუ როგორ შეიცვალა ქალაქი მე–19 საუკუნიდან დღემდე. განხილული იყო ასევე თბილისი და თბილისის მერიის მიერ გატარებული ღონისძიებები ქალაქში.

## სტუდენტური კონკურსი

2018 წლის 25 დეკემბერს შედგა სტუდენტურ კონკურსში: „სათამაშო არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ნაძვისხისთვის“ გამარჯვებულების დაჯილდოება. დაჯილდოებას წინ უძღვოდა გამოფენა და ჟიურის მუშაობა. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის სხვადასხვა კურსის სტუდენტებმა. თვითოეულ სტუდენტს წარმოდგენილი ჰქონდა რამოდენიმე ნამუშევარი. მთავარი კრიტერიუმი იყო ორიგინალური სათამაშოს შექმნა არქიტექტურის თემაზე. დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები, რომელიც გადაეცათ გამარჯვებულ სტუდენტებს. პრიზები გადასცა ფაკულტეტის დეკანმა ნინო იმნაძემ.

დაჯილდოვდნენ:
I ადგილი – ალექსანდრე ნავროზაშვილი. მას გადაეცა ფულადი პრიზი 100 ლარი
II ადგილი – ნუცა კიკნაველიძე პრიზი – 50 ლარი
III ადგილი – სოსო ჩიბურდანიძე – 20
წამახალისებელი პრიზები გადაეცათ მარიამ კაკაურიძეს, თათული აფციაურს, მედეა დიდებაშვილს, გვანცა ძაგანაშვილს და გიორგი დოიჯაშვილს.
დაჯილდოების შემდეგ ყველამ ერთად სტუდენტებმა და პედაგოგეგბმა მორთეს საახალწლო ნაძვის ხე!

   
   
  

## ქართველი სტუდენტის წარმატება

2018 წლის 22 დეკემბერი

განათლების საერთაშორისო ცენტრი იუწყება, რომ „ცენტრის სტიპენდიატმა გიორგი მაისურაძემ წარმატებით დაასრულა სწავლა მილანის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და მიიღო მაგისტრის ხარისხი არქიტექტურაში. მის მიერ მომზადებული სამაგისტრო თეზისი ეხებოდა სამეცნიერო ლაბორატორიის შენობას ფარმაცევტული კომპანიის NOVARTIS-ის კამპუსის ბაზაზე ბაზელში, შვეიცარია. აღნიშნულ პროექტზე გიორგი 2016 წლის სექტემბრიდან 2018 წლის დეკემბრამდე მუშაობდა და ხელმძღვანელებთან ერთად მოამზადა ტერიტორიის ურბანული ანალიზი, ასევე არქიტექტურული, კონსტრუქციული ნახაზები და შესაბამისი დოკუმენტაცია ვენტილაციის, გაგრილება - გათბობის, ტექნოლოგიური მხარის შესახებ.

აღნიშნული თეზისისთვის გიორგი მაისურაძემ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, თეზისი ,,Ordine dei architetti’’-ის მიერ წლის პროექტადაა ნომინირებული“.

გიორგი მაისურაძემ 2016 წელს წარმატებით დაამთავრა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატი წითელ დიპლომზე. ბაკალავრიატის დამთავრებისტანავე სწავლა გააგრძელა მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე.






**არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი ულოცავს გიორგის და უსურვებს შემოქმედებით წარმატებას!**

**ქართველი კურსდამთავრებულის წარმატება**

2018 წლის 27 დეკემბერი. განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიატმა, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამტავრებულმა სალომე გუგუნავამ წარმატებით დაასრულა სწავლა მილანის ტექნიკურ უნივერსიტეტში და მიიღო მაგისტრის ხარისხი არქიტექტურული დიზაინის განხრით.

სალომეს სამაგისტრო თემა ეხებოდა დანგრეული და თითქმის განადგურებული ქალაქის - ალეპოს (სირია) - უძველესი ისტორიული ცენტრის აღდგენა-რეაბილიტაციას, ეს საკითხი დღეს პრობლემური და აქტუალურია არქიტექტურაში, შესაბამისად, ამ თემაზე პარალელურად მუშაობენ მსოფლიოს წამყვანი არქიტექტორები, ურბანისტები, სოციოლოგები და უნივერსიტეტები.

აღნიშნულ პროექტზე ცენტრის სტიპენდიატი 2017 წლის სექტემბრიდან პროფესორის, არქიტექტორ დომენიკო ჩიზზონიტი–ის ხელმძღვანელობით მუშაობდა. თეზისი მაქსიმალური ქულით შეფასდა და ’’Ordine dei architetti’’-ის მიერ წლის საუკეთესო პროექტის ნომინაციაზეა შერჩეული.





სახელმძღვანელო „ლანდშაფტური არქიტექტურა“

2018 წელს გამოიცა სახელმძღვანელო "ლანდშაფტის არქიტექტურა" (ფერადი ილუსტრაციებით, 190 გვ.)
ავტორი: თენგიზ მახარაშვილი



“ურბანული სივრცის მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში“




2018 წელს გამოიცა წიგნი - "ურბანული სივრცის მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში" (ქართულ-ინგლისური, ფერადი ილუსტრაციებით, 290 გვ.)

ავტორები: ვლადიმერ ვადროსანიძე, თენგიზ მახარაშვილი, ზურაბ ლაოშვილი, ნინო ჩაჩავა, ნინო ფაილოძე.

**ვახტანგ დავითაია: „ცხოვრების ფურცლები“**
**„ჩანაწერები“**

2018 წელს გამოვიდა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორის, აკადემიკოს ვახტანგ დავითაიას სამი წიგნი: „ცხოვრების ფურცლები“ წიგნი I , წიგნი II და „ჩანაწერები“.

„ცხოვრების ფურცლები“ „ვახტანგ დავითაიას პიროვნული ანარეკლია“ – წინასიტყვაობაში აღნიშნავს პროფესორი ელენე კალანდაძე. „კრებულში წარმოჩენილია ის აქტუალური საკითხები (მოვლენები), რომელიც აწუხებდა და დღესაც აწუხებს არქიტექტორებს, ზოგადად, ქართულ საზოგადოებას – მოვლენები, რომლებმაც დღეს ახალი ხასიათი შეიძინა.“

წიგნში „ჩანაწერები“ ავტორი გადმოგვცემს 50 წლის განმავლობაში სხვადასხვა გარემოებებში შესრულდა.







